ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 18 (23)

28 X 1990

## საქართველის სახალხო ფრონტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი

**თანამემამულენო!** საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ ჩვენს რესპუბლიკასა და მის საზღვრებს გარეთ შექმნილ დღევანდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უფლება არა გვაქვს უარი ვთქვათ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარლამენტურ გზაზე. პოლიტიკური ბრძოლის ეს გზაც ჩვენი სამშობლოს იმ სახელმწიფოებრივი სტრუქტურიდან გამოხსნის ქმედით იარაღად უნდა ვაქციოთ, რომელიც 1921 წ. თებერვალში ძალით მოგვახვიეს თავს ოკუპანტებმა.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ვის დავასახელებთ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — უზენაესი საბჭოს — დეპუტატობის კანდიდატებად, ვის მივანდობთ სამშობლოს ბედს, დეპუტატების როგორ კორპუსს შევქმნით.

ჩვენ ვიმყოფებით უძნელესი არჩევანის წინაშე. ათეული წლების მანძილზე პიროვნებაზე ყოველმხრივმა ძალმომრეობამ, საპარლამენტო ცხოვრების არქონამ, ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის მიერ დამკვიდრებულმა ყალბმა ღირებულებითმა ორიენტაციამ და გამხრწნელმა სოციალურმა გარემომ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დღეს ასე ჭირს პროფესიონალური საპარლამენტო თვისებებით დაჯილდოებული დეპუტატობის კანდიდატთა შერჩევა, შექმნილი ვითარება მოითხოვს გონების თვალით მოვიხილოთ მთელი საქართველო, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, ყველა შრომითი კოლექტივი, სასწავლო დაწესებულებები, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინსტიტუტები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარტიები, გაერთიანებები და მოძრაობები, რათა შევარჩიოთ სამშობლოს ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი დეპუტატობის კანდიდატები.

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის პარლამენტური ბრძოლის გზა არანაკლებ განსაცდელისა და ხიფათის შემცველია. მამულის ერთგული დეპუტატის პარლამენტური მოღვაწეობა დაკავშირებული იქნება უდიდეს რისკთან, რეალურ ხიფათთან. ამიტომაც დეპუტატობის კანდიდატებად უნდა შევარჩიოთ ყველაზე პრინციპული, შეუპოვარი, გაბედული, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილები. ასეთები კი, ბუნებრივია, ვერ იქნებიან ვერც კორუმპირებული, ზნეობრივად გახრწნილი, მექრთამე პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო მუშაკები და ვერც ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც კონფორმიზმის სენით არიან შეპყრობილნი — პირადი კეთილდღეობისათვის მზად არიან დათმონ ეროვნული ინტერესები.

მაგრამ მარტო ზნეობრივი სიწმინდე, გამბედაობა და მამულისათვის თავდადება როდი კმარა საპარლამენტო მოღვაწეობისათვის. მომავალ დეპუტატს, რომელსაც საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოება ეკისრება, უნდა გააჩნდეს სათანადო პოლიტიკური ალღო და ფართო გონებრივი თვალსაწიერი, რაც მარტოოდენ ღრმა განსწავლულობიდან, კომპეტენტურობიდან მოდის, ამიტომაც, სასურველი და მიზანშეწონილია საქართველოს უზენაეს საბჭოში ავირჩიოთ სწავლული იურისტები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ლიტერატორები, მწერლები და მეცნიერებისა და კულტურის მრავალი სხვა დარგის კომპეტენტური წარმომადგენლები.

ძვირფასო ამომრჩევლებო, მამულიშვილნო! საქართველო განსაცდელშია! ხვალინდელი დღე იქნებ უფრო დიდ ხიფათსაც გვიმზადებდეს. ჩვენ სიბრძნითა და სიმხნევით უნდა შევეგებოთ ყოველ განსაცდელს და ჩვენი ბრძოლა გამარჯვებამდე მივიყვანოთ. მოვალე ვართ ყოველმა ჩვენგანმა კისრად ვიდოთ სამშობლოს მომავლის წინაშე პოლიტიკური პასუხისმგებლობის ტვირთი და გავაკეთოთ სწორი არჩევანი — დავასახელოთ და უზენაეს საბჭოში ავირჩიოთ სამშობლოს ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი დეპუტატობის კანდიდატები.

# დღეს არჩევნების დღეა! ხმა მიეცით საქართველოს სახალხო ფრონტის დეპუტატობის კანდიდატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხმა მისცეთ პატრიოტ კანდიდატებს

**დამთავრდა** საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატთა დასახელების კომპანია. 250 სადეპუტატო ადგილზე დასახელებულია 3000-მდე კანდიდატი, როგორც ხედავთ კონკურსი საკმაოდ დიდია და იგი საქ. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტთა მიძალებას გვაგონებს. 10 კანდიდატი ერთ ადგილზე, ახლა დაიწყება „გამოცდები", ე. ი. წინასაარჩევნო ბრძოლა და მალე ა. წ. 25 მარტს საქართველო აირჩევს თავის უზენაეს საბჭოს. ეს იქნება პირველი ამ ბოლო 70 წლის მანძილზე ნამდვილად ხალხის მიერ არჩეული ეროვნული პარლამენტი. რა თქმა უნდა, მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ყველა არჩეული იქნება საუკეთესო საუკეთესოთა შორის და ნამდვილად სასურველი, რომ პარლამენტი იქნება უნაკლო, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, მომავალი არჩევნები თავისი შედეგებითაც ნახსენებ უმაღლესი სასწავლებლის საკონკურსო გამოცდების ფინალს დაემსგავსოს.

ამომრჩევლებისათვის, ვფიქრობ, აუცილებლად საჭიროა გადახედონ კანონს — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, მაგ. ამ კანონის 41 მუხლი ამბობს: „საქართველოს სსრ მოქალაქეებს... გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგრეთვე, გაწიონ აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ წინასწარსაარჩევნო კომპანია, პირადი ანგარიშსწორების არენად გამოვიყენოთ, უნდა ავმაღლდეთ საკუთარ ამბიციებზე, საერთო საქმე, პირადულობამდე არ უნდა დავიყვანოთ, თორემ იგივე კანონის 13-ე მუხლის თანახმად „პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება, არ დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა. პასუხს აგებენ აგრეთვე პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გაავრცელეს ყალბი ცნობები დეპუტატობის კანდიდატის შესახებ".

ეს რაც შეეხება კონსტიტუციურ კანონებს, მაგრამ არსებობს მორალურ-ზნეობრივი კანონებიც, ბიბლიური შეგონებები და განსაკუთრებით მერვე მცნება, რომლის დავიწყება და დარღვევა არავის ეპატიება.

ამჟამინდელმა საარჩევნო ციებცხელებამ ერთი ძველი ამბავიც გამახსენა, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 60-იან წლებში აფრიკის განვითარებადი ქვეყნების ახალგაზრდებიც სწავლობდნენ, ჩვენ მათთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ერთხელ ერთი შავკანიანი სომალელი მუხიტდინ ალის უცხოურ პასპორტს ვათვალიერებდით, ალიმ გვითხრა, რომ დაბადებულია 1940 წელს, მაგრამ იმის გამო, რომ სომალში ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდებოდა და მას კი საარჩევნო უფლების მიღებამდე ერთი წელი უკლდა, მამამისმა პასპორტი გამოუცვალა და დაბადების თარიღად 1939 წელი ჩაუწერა, მე და ჩემი ამხანაგები მაშინ ძალზე გაკვირვებული დავრჩით, თავად ეს ფაქტი იმას ლაპარაკობდა, რომ სიყალბეები მარტო ჩვენს ქვეყანაში არ ხდება, მაგრამ თუ ჩვენში ამგვარ საქციელს ჯარში სამსახურის გადავადების ან სხვა მსგავსი ამბებისათვის მიმართავენ, იქ თურმე იმისათვის, რომ საარჩევნო ხმა მიიღონ, ე. ი. ამომრჩევლის ხმას ფასი ჰქონია და თანაც საკმაოდ დიდი. ჩვენ კი ყოველგვარი არჩევნებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ვიჩენდით, თავად მე ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ, როცა 18 წელი შემისრულდა, მივიღე მონაწილეობა არჩევნებში და მაშინვე დავრწმუნდი, რომ ჩემს ხმას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, დასახელებული კანდიდატი უკვე არჩეული იყო და შემდგომში საარჩევნო ცერემონიალი მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენდა, ამიტომაც შემდეგში არასოდეს აღარ მიმიღია მონაწილეობა არჩევნებში, ფაქტიურად მთელი ამ ხნის განმავლობაში არჩევნებისადმი ბოიკოტი მქონდა გამოცხადებული.

ჩვენი არჩევნების სისტემაზე ხალხში მოარული ანეგდოტიც დადიოდა გოჭის გამყიდველ გლეხზე და მასთან მოვაჭრე ხელისუფლებაზე, გახსოვთ ალბათ გლეხი ერთ გოჭს რომ ყიდდა და შევაჭრებულ რაიკომის მდივანს რომ უპასუხა „აირჩიე, რომელი გინდაო"...

დიახ, ასე იყო აქამომდე.

ამის შემდეგ კი სხვანაირად იქნება?

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აქამდე ძირითადად სოფლისა და ქალაქის მოწინავე მშრომელებს ასახელებდნენ ხოლმე. ახლა კი მათ აღარ ენდნენ და ერთიანად ყველა რაიკომის მდივანი დაასახელეს. რაიონში რაიკომის მდივანს რომ განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, ხომ ყველასათვის ცნობილია, — „რაიონი ეს მე ვარო"! — უთქვამს ერთ რაიკომის მდივანს ყველა კოლეგის სათქმელი, ჰოდა, არ გამოიყენებს იგი ამ ძალაუფლებას თავის სასარგებლოდ? არ ექნება ხმების დათვლისას და მანამდეც ადგილი ისეთ ამბებს, ამ ბოლო დროს „ნეგატიურს" რომ ეძახიან. მთელი 70 წლის მანძილზე პარტიის რაიკომები და მისი მდივნები ადგილებზე ახორციელებდნენ სსრ კავშირის კომპარტიის, უფრო სწორად კი მისი ცენტრალური კომიტეტისა და გენერალური მდივნის პოლიტიკას. ამის შემდეგ განა სხვანაირად იქნება?. ვითომ გათეთრდება ყორანი ქვიშით?. უბრალო, უთანამდებობო პატრიოტსა და რაიკომის მდივანს განა ერთნაირი საშუალებები აქვს წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად? მოტყუებული მუშათა კლასი; სოფლის მშრომლები, ინტელიგენცია იღვიძებს, მაგრამ არც ოფიციოზს სძინავს, მას ხომ საერთოდ არ სძინებია?, პირიქით ის აჰიპნოზებდა, აბრუებდა და აძინებდა ხალხს ცრუ დაპირებებითა და „ნათელი მომავლის" იმედებით, ახლა ხედავს, კოვზი ნაცარში უვარდება, ხალხი ფხიზლდება, მაგრამ ეს ხომ კიდევ არ ნიშნავს რომ გამოფხიზლდა, ხალხი იღვიძებს, მაგრამ ჯერ ხომ არ გაუღვიძიათ? ამიტომაც ოფიციოზმა გაათკეცა და გაასკეცა მასზე ჰიპნოზირებისა და გაბრუების საშუალებები, თურმე ის ყოფილა ერის ინტერესების ნამდვილი დამცველი და მისი პარტიის შემქმნელი ბელადები კი არ შემოსძღოლიან რუსულ ჯარს საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს, არამედ ვიღაცა სხვა. თვითონ კი ყოველთვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა.

თურმე მის პარტიას კი არ მოუხდენია მთელი ძალაუფლების უზურპაცია ქვეყანაში, არამედ ვიღაცა სხვას, თვითონ კი ყოველთვის დემოკრატიისათვის იბრძოდა.

თურმე მის პარტიას კი არ დაუგლეჯია საქართველო ავტონომიურ ერთეულებად, არამედ ვიღაც სხვას, თვითონ კი ყოველთვის საქართველოს ერთიანობისათვის იბრძოდა.

თურმე მის პარტიას კი არ გაუჩუქებია მამაპაპის სისხლით მორწყული ქართული მიწები ბედოვლათი მასპინძელივით (1920 წ. ერთა ლიგის მიერ დე ფაქტოდ და დე იურედ ცნობილი საქართველო 93 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, დღეისათვის 69 ათ. კვადრატულ კილომეტრს შეადგენს). არამედ ვიღაც სხვას, თავად კი მუდამ საქართველოს გადიდებისათვის იბრძოდა.

თურმე მის პარტიას კი არ გაუგზავნია საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი რუსეთ-გერმანიის ომში, 1941-1945 წლებში და ავღანეთში 1978-1988 წლებში, სადაც ტყვედ ჩავარდნის საშიშროების შემთხვევაში თვითონვე ხოცავდნენ, არამედ ვიღაც სხვას, თვითონ კი მუდამ ქართველების გამრავლებისათვის იბრძოდა.

თურმე მის პარტიას კი არ მოუხდენია ოციან, ოცდაათიან, ორმოციან, ორმოცდაათიან წლებში ქართული ინტელიგენციის გენოციდი, არამედ ვიღაც სხვას, თვითონ კი ყოველთვის საქართველოს კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებისათვის იბრძოდა.

თურმე მისი პარტია კი არ აკანონებდა საქართველოს ტერიტორიაზე უფროსი ძმის ენის გაბატონებას, არამედ ვიღაც სხვა, თვითონ კი მუდამ და ყოველთვის ქართული ენის განვითარებისათვის იბრძოდა.

თურმე მის პარტიას კი არ დაუნგრევია ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები, არამედ ვიღაც სხვას, თვითონ კი სინდისის და რწმენის თავისუფლებისათვის იბრძოდა.

თურმე ის და მისი პარტია კი არ გზავნიდა ქართველ ახალგაზრდებს კომსომოლსკების, ვოლგადონების, ცელინოგრადების, სლავუტიჩების, ტიუმენების, ბამების, ვოლოგდებისა და სხვა ჯანდაბების მშენებლობაზე, არამედ ვიღაც სხვა, თავად კი მუდამ საქართველოს დამშვენებისათვის იბრძოდა.

თურმე ის და მისი პარტია კი არ აწარმოებდა ხუდონჰესებისა და ტრანსკავკასიის მაგისტრალების მშენებლობებს, არამედ ვიღაც სხვა, თავად კი სულ მუდამ საქართველოს ეკოლოგიის სიჯანსაღისათვის იბრძოდა.

თურმე ის და მისი პარტია კი არ სდევნიდა პასტერნაკებს, სოლჟენიცინებს, ბროდსკებს, სინიავსკებს, ნეკრასოვებს, ნეიზვესტნებს, სახაროვებს, რობაქიძეებს, გამსახურდიებს, კოსტავებს... არამედ ვიღაცა სხვა, თვითონ კი მუდამ ადამიანის უფლებებისათვის იბრძოდა.

თურმე მას და მის პარტიას კი არ გაუყვია ჩვენი საზოგადოება ორ ნაწილად პარტიულებად და უპარტიოებად, პრივილეგირებულ და უუფლებო მასად, პირველ და მეორე კატეგორიების ადამიანებად, ნომენკლატურულ და ჩვეულებრივ სპეციალისტებად, არამედ ვიღაც სხვას, თვითონ კი მუდამ ხალხთა ერთიანობისათვის იბრძოდა.

ყველა ცოტა თუ ბევრად ნიჭიერი და ენერგიული ადამიანი მექრთამედ, კომბინატორად, სპეკულიანტად და ქურდად რომ გადააქციეს, არც ეს ყოფილა მისი და მისი პარტიის ბრალი.

განათლების სისტემა, სამედიცინო დარგი, ვაჭრობა... კორუფციის ჭაობში, რომ ჩაეფლო, არც ესაა მათი და მათი პარტიის ბრალი, ისინი ყოველთვის ებრძოდნენ კორუფციას. ეს კია, რომ „ფიცი გვწამს ბოლო გვაკვირვებს" ქვეყანას ამ თითქმის 70 წლის მანძილზე ერთპიროვნულად განაგებდნენ და ვინღა უშლიდა ხელს? იქნებ „კაპიტალისტური გადმონაშთები"? ან „ანტიპოდები"? ან „ნეგატიური ელემენტები"? პარტიულების რიცხვი მთელი მოსახლეობის 7-8 პროცენტს არასოდეს ასცილებია, მისი ხელმძღვანელი — ელიტა კი ერთი პროცენტის ფარგლებში იყო და აი სწორედ ამ ერთი პროცენტისათვის ე.წ. მთავრობის ხალხისათვის იყო მხოლოდ განკუთვნილი — შავი ლიმუზინები, სამთავრობო ბინები —

(დასასრული მე-8 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმა მიეცით პატრიოტ კანდიდატებს

(დასასრული)

ვაკეში, სამთავრობო აგარაკები წყნეთში, ბიჭვინთაში, სამთავრობო მაღაზიები, სამთავრობო ლიმონათი, სამთავრობო ბორჯომის წყალი, მთავრობის ტელეფონი, მთავრობის ლოჟა, მთავრობის ტრასა, მთავრობის საავადმყოფო, მთავრობის ლიმიტირებული წამლები და მთავრობის სასაფლაოც კი.

ბოლოს და ბოლოს ვინ მოაწყო ქართველი ახალგაზრდების ე. წ. კომკავშირების მიერ ქართველ ახალგაზრდა პატრიოტთა მიტინგის დარბევა და ცემა-ტყეპა 1989 წლის 18 თებერვალს, რომელმაც 1626 წლის ავადმოსაგონარი ბაზალეთის ბრძოლა გაგვახსენა, იქნებ ვიღაცა სხვამ? — ხის უთქვამს ნაჯახი ვერაფერს მიზამს ჩემი ჯიშიც რომ არ ერიოსო. გენიალური ფრანსუა დე ლაროშფუკო კი წერს: „ნამდვილად პატიოსანი ის კაცია, ვინც ცდილობს პატიოსან ადამიანთა თვალწინ იცხოვროსო“, მაშ რა გინდოდათ ერთ პარტიაში როდიონოვებთან, გლადკოვებთან, რაშიდოვებთან, კუნაევებთან... მკვლელებთან, მექრთამეებთან... ამდენ ძაღლთან და მამაძაღლთან ერთად? ან იქნებ ლაროშფუკო სცდება? და იქნებ ერთი წვირიანი ღორი ათას ღორს სვრის? მაშ ქართულ სიბრძნეს რაღას ეუბნებით: „მითხარ ვინ არის შენი ამხანაგი და გეტყვი ვინ ხარ შენო“, რომ ამბობს, კომპარტიის ყველა წევრი ხომ ერთმანეთის ამხანაგია, თუ პარტიის წესდების ამ მოთხოვნასაც არ იზიარებთ?

პარტიის ბევრი ფუნქციონერი კომპარტიის გახრწნას კორუმპირებულ ელემენტებს აბრალებს მექრთამეებს, პროტექციონისტებს, კარიერისტებს, და ასე შემდეგ. იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ თვით იდეაა კომუნიზმისა მცდარი. კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორია, პროლეტარიატის დიქტატურის ძალით დამყარება, სისხლიანი რევოლუციები... აბა კარგად გაიხსენეთ: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“ და მოგვიანებით კიდევ ერთი პლიუს ქიმიზაციაც, რომ მიაკერეს, იქნებ იმასაც არ იზიარებდით? ახლა ზოგიერთი კომუნისტი კომუნიზმის აშენების იდეასაც უარყოფს კომპარტიის მანდატი კი გულის ჯიბით დააქვს, როდემდე?

დაინტერესებული პირები ხმებს ავრცელებენ, ვითომ გარდაქმნა კომპარტიას დაეწყოს. ეს კი ასე რომ არ არის იქიდანაც ჩანს, რომ სადაც კი გარდაქმნა და საჯაროობა ნამდვილ ფაზაში შედის ტანკებითა და ქიმიური იარაღით უმასპინძლდებიან.

კომპარტიამ პროლეტარიატის დიქტატურის ნიღბით საკუთარი დიქტატურა დაამყარა და ნებით რამდენადაც ისტორიიდან გვახსოვს მხოლოდ სულლას დიდმა სთქვა რომის დიქტატორობაზე უარი. ისე რომ, მავანმა და მავანმა, რომლებიც წლების განმავლობაში კომპარტიის ცეკას ნების შემსრულებლები იყვნენ ადგილებზე, თავი დაანებონ ცხვრის ტყავის ჩაცმას. რიგით ადამიანებს კი ისევ ფრანსუა დე ლაროშფუკოს დარიგებას გავახსენებ: „წმინდა წყლის სიმართლეს ამქვეყნად იმდენი სიკეთე არ მოუტანია, რამდენი ბოროტებაც დაუთესია მოჩვენებით ჭეშმარიტებას“. ამიტომაც ფრთხილად, კიდევ ერთხელ არ შეცდეს. თეთრი და შავი სჯობია საარჩევნო კომპანიისას გაირჩეს ვიდრე პარლამენტში, თორემ გვიან იქნება შემდეგ თითზე კბენანი.

ამომრჩეველო, დღეს შენზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი, პასიურობა და ბოიკოტი იქნებ მტრის წისქვილზეც ასხამდეს წყალს. გახსოვდეს, საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც ხელში გიჭირავს უბრალო ქაღალდი კი არ არის, არამედ ნაღმია და შენს მოსაზრებულობაზეა დამოკიდებული მტრის ბანაკში გასკდება იგი, თუ საკუთარ ხელში აგიფეთქდება.

აქამდე არჩევნები არადემოკრატიული იყოო, გახსოვდეს ვინ აწყობდა იმ არჩევნებს. ნუ დაუკრავ ტაშს, რაც არ მოგწონს და ნურც თავს — ვინც არ მოგწონს.

არც რუსეთის დიდი მეისტორიის მარკიზ დე კიუსტონის სიტყვებია დასავიწყებელი: „რუსეთში ყოველი ახალი კამპანია, ახალი სიცრუეაო“.

ეროვნული პარლამენტი საქართველოსათვის უცხო ხილი არ არის, მსგავსი ორგანიზაცია ჩვენ ჯერ კიდევ XII საუკუნეში გვქონდა. როცა თამარისდროინდელი საქართველოს დარბაზი სახელმწიფო საქმეებზე მსჯელობდა, ჩვენი ბევრი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტურები და ადამიანები ჯერ კიდევ ერთნაირად ყმუოდნენ. თამარის დარბაზში კი „დარბაზის ერი ბჭობდა, აქედან წარმომდგარა შემდეგში ლამაზი და ძარღვიანი სიტყვა — „დარბაისელი“. ახლაც და ყოველთვის, დარბაზსა, თუ პარლამენტში მხოლოდ დარბაისელი ხალხი უნდა ბჭობდეს და არა სხვაგვარი.

ყოველივე ზემოთქმული რა თქმა უნდა რიგით პარტიულებს არ ეხებათ, არც საშუალო რანგის კომუნისტებს, რომელთა მოვალეობა საწევროს გადახდა და ხელის აწევა იყო მხოლოდ. ბევრი მათგანი ფეხის ხმას აჰყვა, ბევრს კი ეს, ოჯახის შესანახად სჭირდებოდა. ჩვენ ამას კომპარტიის იდეოლოგებზე, მათ ლიდერებზე და რუპორებზე, ფუნქციონირზე მოგახსენებთ, ვისი სულიერი მამა და დიდი ბელადიც ხელისუფლების აღებისთანავე აცხადებდა: „ან ჩვენ, ან ისინიო“, „ჩვენ“ ნიშნავდა მას და მის პარტიას, ბოლშევიკებს, „ისინი“ კი დანარჩენ პარტიებსა და დანარჩენ ხალხს და მართლაც, მისი მიმდევრები და მოწაფეები არასოდეს არ ივიწყებდნენ რა ამ მოწოდებას ყოველთვის იძახდნენ — „ჩვენ“! ხოლო „ისინი“ არსებობდნენ მხოლოდ „ჩვენის“ კეთილდღეობისათვის.

კომპარტიის მეორე არანაკლებ გენიალური ბელადი კი ამბობდა: „ჩვენ, ბოლშევიკები სულ სხვა მასალისაგან ვართ ნაკეთებიო“ — დიახ ბატონო, აბსოლუტურად სწორია, კომუნისტები სულ სხვა მასალისაგან არიან ნაკეთები და ესეც მხოლოდ ფუნქციონერ კომუნისტებს შეეხებათ, ჩვენ კი დანარჩენებმა, რომლებიც რა თქმა უნდა ერთნაირი და ერთნაირად ცნობილი მასალისაგან ვართ ნაკეთები, ჩვენნაირი მასალისაგან გაკეთებული ხალხი უნდა ავირჩიოთ უზენაეს საბჭოშიც და ყველა ხელმძღვანელ ადგილას, თორემ ხომ დავინახეთ სხვა მასალისაგან ნაკეთებმა ხალხმა სად მიგვიყვანა?

დაე, ნუ გვიღალატებს ჩვენი ნაქები გონიერება!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**იგორ პატარიძე,**
**საქართველოს სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი**

# მშვიდობით ვლადიმერ!

**„მშვიდობით** ვლადიმერ“ ამ სათაურით დამშვენებულმა ინფორმაციამ და ფოტომ ვ. ი. ლენინის ძეგლის დემონტაჟის შესახებ კრაკოვში, გასულ კვირას მოიარა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა წამყვანი გაზეთების ფურცლები. გამარჯვებით დასრულდა პოლონელთა ზუსტად ერთწლიანი ბრძოლა. ბრძოლა, რომელიც წამოიწყეს ევროპაში ერთ-ერთი უძველესი კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტის სტუდენტებმა. მე მქონდა ბედნიერება ზუსტად ერთი წლის წინათ, როდესაც იწყებოდა კომუნისტთა დიქტატურის საწინააღმდეგო ფართო აქციები კრაკოვში და საერთოდ პოლონეთში, იქ ვყოფილიყავი. გასული წლის იანვარში პირველად მრავალწლიანი ინტერვალის დუმილის შემდეგ მაშინდელი პოლონეთის ხელისუფლება იძულებული გახდა დაეთმო თავისი პოზიციები. იანვარში ხანგრძლივი იძულებითი დუმილის შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა სოლიდარობის ლიდერი ლეხ ვალენსა. ეს იყო უდიდესი გარდატეხა სოლიდარობის მოძრაობაში. პოლონეთის ცენტრალურ გაზეთებში ზედიზედ ქვეყნდება იარუზელსკისა და გორბაჩოვის კარიკატურები. ვიდეო სალონებში უკვე თავისუფლად აჩვენებენ 1988 წლის ნოემბერში პარიზში პრემიერებულ პოლონელი ემიგრანტის მარიუშკა ჰოლანდის ფილმს „ქსენძის მკვლელობა“, რომელიც ასახავს 1984 წელს პოლონეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ ვარშაველი კათოლიკე მღვდლის, ეჟი პაპილუშკას მხეცურ მკვლელობას. ცნობა ამ ტერორისტული აქტის შესახებ იმხანად მთელი სამი დღის განმავლობაში პროგრამა „ვრემიათიც“ ფართოდ შუქდებოდა, მაგრამ ცდილობდნენ ყველაფერი ისე წარმოედგინათ, ვითომდაც სოლიდარობის აქტიური წევრი მღვდელი ანტიკომუნისტური ძალების მსხვერპლი შეიქნა. ხოლო როდესაც პაპილუშკას მკვლელობიდან ერთი კვირის შემდეგ ცნობილი გახდა ნამდვილ მკვლელთა ვინაობა, საბჭოთა საინფორმაციო სამსახურებმა სამუდამოდ დაიგუბეს პირში წყალი.

გასული წლის თებერვლიდან, როდესაც ზამთრის არდადეგების შემდეგ კვლავ განახლდა სწავლა იაგელონის უნივერსიტეტში, სტუდენტებმა ფართო საპროტესტო გამოსვლა მოაწყეს კრაკოვის ისტორიულ ცენტრში აღმართულ საბჭოთა ჯარისკაცების მემორიალისა და ლენინის მონუმენტის მოხსნის მოთხოვნით. მაშინ პოლონეთის ხელისუფლებამ, რომლის სათავეშიც პოლონეთის მუშათა პარტია იმყოფებოდა, შეძლო დროებით ამ ფართო აქციის შენელება, თუმცა მისი შეჩერება მას როგორც პოლიტიკურად ყავლგასულ

სულ წელს საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის სამსახურების მიერ გადაცემულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ კრაკოვში ექსტრემისტულად განწყობილი სტუდენტების ერთმა ნაწილმა სცადა შეურაცხყოფა მიეყენებინა კრაკოვის განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა მეომრების მემორიალისა და ძმათა სასაფლაოსათვის. აქცია აღკვეთილ იქნა მოსახლეობისა და სახალხო მილიციის ნაწილების მიერ. ეს ცნობა მიზნად ისახავდა საბჭოთა მოქალაქეებში უარყოფითი დამოკიდებულება გამოეწვია პოლონეთის პატრიოტული ძალების მიმართ. ამან ნაწილობრივ მიაღწია კიდეც თავის მიზანს საბჭოთა მოქალაქეების იმ ნაწილში, მეორე მსოფლიო ომის ისტორიას საბჭოთა ფსევდოისტორიული სახელმძღვანელოებით რომ იცნობენ და სჯერათ, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ჯარისკაცების უანგარო თავდადებამ იხსნა პოლონელთა სიამაყე, რეჩპოსპოლიტას ძველი დედაქალაქი კრაკოვი განადგურებისაგან.

კრაკოვი, მისი საქვეყნოდ ცნობილი მარიამის კათედრალი და ვაველის არქიტექტურული კომპლექსი პოლონელთათვის უწმინდესი ადგილით — სამშობლოს საკურთხევლითა და მეფეთა პანთეონით, პოლონეთის უდიდესი შვილის, სამშობლოს დამოუკიდებლობის აღმდგენის, გენერალ პილსუდსკის აკლდამით (სხვათა შორის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პილსუდსკი მოხსენიებულია როგორც პირწავარდნილი ფაშისტი და პოლონელი ხალხის მტერი) უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე ცნება — ყოფილი დედაქალაქი და ცხადია მისი გადამრჩენების მემორიალის ხელყოფა ვანდალიზმის დაუფასებლობის გამოხატულებად წარმოჩნდება მათ თვალში, ვინც ჯერ კიდევ არ იცის რომ:

1939 წლის რიბენტროპ-მოლოტოვის ანუ ჰიტლერ-სტალინის თავდაუსხმელობისა და მეგობრობის პაქტმა გადაწყვიტა დამოუკიდებელი და ერთიანი პოლონეთის ბედი.

საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ იქნა პოლონეთის ტერიტორიის ორ მესამედზე მეტი.

კატინში სამხედრო ტყვეთა ბანაკში სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ გაჟლიტა რამდენიმე ათასი პოლონელი ოფიცერი (მათ შორის იყო ოთხი ქართველი, ყოფილი იუნკერი 1921 წელს საქართველოს დასაპყრობად შემოჭრილი მე-11 არმიის წინააღმ-

ეს მხეცური დანაშაული საბჭოეთმა ურცხვად გადააბრალა გერმანიას და პოლონელთა დაჟინებული პროტესტების შემდგომ გასულ წელს, იძულებული შეიქნა ნაწილობრივ (საბჭოური ცინიზმის კიდევ ერთი გამოხატვა) ეღიარებინა კატინის დანაშაულში მონაწილეობა.

საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობის წაქეზებით იფეთქა 1944 წლის ვარშავის ცნობილმა აჯანყებამ. საბჭოთა ჯარებმა სპეციალურად შეაჩერეს წინსვლა ვარშავის მიმართულებით, რათა საშუალება მიეცათ გერმანელთა დამსჯელი ნაწილებისათვის რაც შეიძლება კარგად გაენადგურებინათ ემიგრაციაში მყოფი პოლონეთის მთავრობის მომხრე არმია კრაიოვა, რათა შემდეგ პოლონეთის განთავისუფლება საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული ვოისკო პოლსკოგოსა და რუსი ჯარისკაცების დამსახურება გამხდარიყო. ეს ვერაგული აქცია პირველი არ არის რუსული თვითმპყრობელობისათვის. 1915 წელს ცარიზმის წაქეზებით მოხდა დაშნაკციუტუნის ხელმძღვანელობით თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების აჯანყება. რუსეთის არმიამ უკანდახევის მანევრი ჩაატარა, რათა თურქებისათვის საშუალება მიეცა მთლიანად გაეჟლიტათ სომხები. ხოლო ამ დროს კი ე. წ. ზაქფრატსკაია კაზაჩესტვოს დიდი ჯგუფი ფრონტის ხაზთან იცდიდა თავიანთ პოვოსკებში, რათა სომხებისაგან განთავისუფლებული არმენიის ტერიტორია აეთვისებინათ და „ისკონნო რუსკაია ზემლიად“ ექციათ.

რაც შეეხება კრაკოვის გადარჩენას, ამ აქციის უშუალო ხელმძღვანელები და აღმსრულებლები არმია კრაიოვას იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რომელთა შორის იმყოფებოდა ოპერაციის ბოლო დღეს გადასროლილი ორი საბჭოთა აგენტი, მზვერავი და მეკავშირე ქალი, რომელიც სხვათა შორის აქციის დაწყებამდე დაიღუპა.

თუ რა „ბედნიერებას“ ეწია პოლონელი და მთელი აღმოსავლეთ ევროპა მეორე მსოფლიო ომში გმირული გამარჯვების შემდეგ, ეს მაინცაა კარგად ცნობილი ყველასათვის. ამიტომაც არ უნდა იწვევდეს გაოცებას თუ რატომ ითხოვდნენ ასე დაჟინებით იაგელონის უნივერსიტეტის სტუდენტები ქალაქის ისტორიული ნაწილიდან (მონუმენტი უშუალოდ შუა საუკუნეებში აგებული ქა-

„ფლორენციის კარიბჭის“ წინ არის გამომწვევად აგებული) აღებას.

ვინც კი კრაკოვში ყოფილა ტურისტული საგზურით, ალბათ ახსოვს თუ როგორ იძულების წესით მიჰყავდათ ლენინური ადგილების თაყვანსაცემად. მაშინ როდესაც ეროვნულ გალერეაში გამოფენილი შედევრის — ლეონარდო და ვინჩის „მადონა ყარყუმით“ თვალის შევლებისათვის დროის გამონახვა შეუძლებელი იყო.

პირველი მსოფლიო ომის წინ გარკვეული პერიოდი ლენინმა ემიგრაცია კრაკოვის მახლობლად ავსტრია-უნგრეთში შემავალ პოლონურ ტერიტორიაზე გაატარა. ეს გახდა საბაბი იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოლონეთში სოკოსავით მომრავლებულიყო პროლეტარიატის დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მემორიალები.

ფილმში „ლენინი პოლონეთში“, ისევე როგორც მთელ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, გატარებულია აზრი, რომ პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენა მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციისა და მისი ბელადის წყალობით. მხოლოდ 1989 წლის იანვარში „გაბედეს“ პირველად, ცენტრალური ტელევიზიით ეჩვენებინათ პოლონეთში შექმნილი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ქრონიკალური მასალები გადაღებული 1918-1948 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის პრემიერას სათანადო კომენტარები გაუკეთეს მოსკოველმა მეცნიერებმა, რათა სიმართლის უეცარ დოზას შოკში არ ჩაეგდო იმპერიულ ამბიციათა მოტრფიალენი, მაინც ვერ მოხერხდა სიმართლის მიჩქმალვა ლენინის მიერ შექმნილი იმპერიის უარყოფით როლზე აღდგენილი პოლონეთის სახელმწიფოს ისტორიაში.

ათწლეულების განმავლობაში არქივში გამოკეტილი კინოკადრები სრულიად საწინააღმდეგო ფაქტებს აცოცხლებენ ჩვენს თვალწინ, იმ ისტორიას, რომლის ანტიპოდსაც გვაწვდიდნენ მთელი 70 წლის მანძილზე. გაითვალისწინა რა პოლონელ პატრიოტთა მონდომება დამოუკიდებელი და ერთიანი სახელმწიფოს აღდგენისა პრუსიამ და ავსტრიამ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს მისცეს თანხმობა პოლონელებს თავის სახელმწიფოს აღდგენისა. რუსეთმა რევოლუციამდეც და რევოლუციის შემდეგაც, აშკარად უარყოფი-

ნა ამ ფაქტისადმი. როდესაც პრუსიელთა ინიციატივით მათ არმიაში მომსახურე პოლონელმა გენერლებმა და ოფიცრებმა შექმნეს დროებითი მთავრობა და იწყეს სახელმწიფოს აღდგენა პოლონეთის გადანაწილებამდე არსებულ საზღვრებში, რუსეთმა პროტესტი განაცხადა ვარშავის ოლქის დათმობაზე. ხოლო სამოქალაქო ომის დროს მადაგახსნილმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს რუსეთის იმპერიაში შემავალი პოლონური მიწების უკან დაბრუნება. პირველი ცხენოსანი არმია, ბუდიონის სარდლობით შტურმით დაიძრა „თეთრპოლონელების“ წინააღმდეგ, რათა პოლონელი პროლეტარები გაენთავისუფლებინა საკუთარი შლიახტის ბატონობისაგან. ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, მოსკოვს არ სურდა ყოფილი კოლონიის ტერიტორიის დაკარგვა. ლენინის გასაოცრად მოხდა ისე, რომ რატომღაც პოლონელებმა საბჭოთა რუსეთის ფედერაციაში ათქვეფას საკუთარი დამოუკიდებელი სამშობლო ირჩიეს და ამით უღალატეს მსოფლიო პროლეტარიატს. პოლონეთზე გალაშქრებამ პირველი სერიოზული მარცხი აგემა საბჭოთა რუსეთის არმიას. რის შემდეგაც ლენინი იძულებული შეიქნა შეეცვალა თავისი აშკარა აგრესიული პოლიტიკა პოლონეთის მიმართ. თუ რა სავალალო შედეგი მოუტანა პოლონეთს ლენინის მიერ ნაანდერძევმა და მისი მემკვიდრეების მიერ წარმატებით განხორციელებულმა პოლიტიკამ, კარგად არის ცნობილი.

ამიტომაც ასე ბობოქრობდა თითქმის ერთი წლის მანძილზე კრაკოვის მოსახლეობა, რათა მათი ქალაქიდან აეღოთ რუსეთის პროლეტარიატის ბელადის მონუმენტი. ბობოქრობდა. ვიდრე არ მიაღწია თავისი სამართლიანი მოთხოვნის აღსრულებას.

**P. S.** ლენინის ძეგლის დემონტაჟს კრაკოვში ისეთი ზარზეიმით არ ჩაუვლია როგორც „რკინის სერგოს“ მონუმენტის დემონტაჟმა ჩაიარა თბილისში და პოლონელებს „გაცილება“ არ მოუწყვიათ ძეგლისათვის. ქალაქის ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა ღამით მოეხდინა ეს აქცია, მაგრამ მიუხედავად ამისა პროლეტარიატის დიდი ბელადის კვარცხლბეკიდან ჩამოგდებას ათასობით კრაკოველი დაესწრო. (მკითხველს ბოდიშს ვუხდით, რომ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ხერხდება ამ ისტორიული ფოტოს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნება, მაგრამ უახლოეს ხანში შეიძლება შევძლოთ ამ ხარვეზის გამოსწორებაც.

**ნუგზარ ზარდაველიძე**
**იტალიის გაზეთ „Il messagero“-სა და ესპანურ „El PAIS“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.**



# საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“

# პროგრამა

საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“ არის საქართველოს შვილთა სპორტულ-საზოგადოებრივ-პატრიოტული ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას, გააძლიეროს ერის ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე, აღუზარდოს სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები, განავითაროს მათში ვაჟკაცობა, კაცთმოყვარეობა, გამბედაობა, მოამზადოს ქართველი ხალხი ფიზიკურად და მორალურად მრავალწლიანი ბრძოლისათვის ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.

ასოციაციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი დაცვა.

## იმედის ამოცანები

1. „იმედი“ სადღეისო ამოცანად მიიჩნევს ქართული ეროვნული ჯარის შექმნას, ამიტომ იგი ყოველნაირად შეუწყობს ხელს ეროვნული მოძრაობისა და მთავრობის ნებისმიერ გადაწყვეტილებას აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

მოცემული ამოცანის გადაწყვეტაში ხელის შესაწყობად ასოციაცია აარსებს ეროვნულ სამხედრო სასწავლებლებს და მის ფილიალებს, ქმნის დისციპლინირებულ სპორტულ-საზოგადოებრივ-პატრიოტულ-სტრუქტურულ ერთეულებს და ამზადებს მათ როგორც ფიზიკურად ასევე თეორიულად და ზნეობრივად.

„იმედი“ აუცილებელ პირობად მიიჩნევს მომავალი ქართული ჯარის შესაქმნელად ძლიერი ბაზის მომზადებას და თვლის, რომ ასოციაციის მიერ მომზადებული ახალგაზრდებისაგან შექმნილი სტრუქტურული ერთეულების ერთობლიობა იქნება სწორედ ის საუკეთესო ბაზა, რომელიც მოუმზადებს ქართულ ჯარს შესაფერის კადრებს და რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოწოდებული იქნება თავისთავზე აილოს ჯარის ფუნქციები.

2. „იმედს“ მიაჩნია, რომ წლების მანძილზე არსებულმა ეროვნული ცნობიერების დეფიციტმა უკანასკნელ წლებში საქართველოში წარმოქმნა უზარმაზარი ზნეობრივი დეფიციტი, რის შედეგადაც განვითარდა ქცევის ახლებური არასასურველი ნორმები და რამაც გამოიწვია ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი დიდბუნებოვნების საყოველთაო დევალვაცია. ქართველ ახალგაზრდათა ნაწილში ამ მოვლენამ დამახინჯებული ფორმით იჩინა თავი, რაც გამოიხატებოდა ჩვენი საერთო ქართული კაცურკაცობისა და ვაჟკაცობის არსში ძირეულად ახალი შინაარსის ჩადებით. „იმედი“ უპირველეს ამოცანად სახავს ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი თვისებების — რაინდობის, დარბაისლობის, თავმდაბლობისა და ეროვნული ღირსების გრძნობების გაღვივებას.

3. „იმედი“ ხელს უწყობს საქართველოს ყოველი სპორტული საზოგადოების შეკავშირებას მათი ერთობლივი მოქმედების მიზნით, რათა მოიპოვოს საქართველომ სრული იურიდიული უფლება საერთაშორისო შეჯიბრებაში იასპარეზოს, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. ეს საკითხი განეკუთვნება როგორც სპორტის ისე პოლიტიკის სფეროს. ამიტომ, „იმედს“ მიაჩნია, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია საქართველოში სპორტული და სპორტსმენთა პატრიოტული და სამხედრო მომზადების დონის კიდევ უფრო ამაღლება, აქედან გამომდინარე:

1). ქმნის მკაცრად დისციპლინირებულ სამხედრო ტიპის საკუთარ სპორტულ სექციებს;

2) აწყობს შეჯიბრებებს სპორტის ეროვნულ სახეობებში მთელი საქართველოს მასშტაბით;

3). „იმედის“ მწვრთნელთა და ნამდვილ წევრთათვის ამტკიცებს მწვრთნელთა და ნამდვილ წევრთა სპეციალურ დებულებებს;

4). აწყობს სპორტულ ლაშქრობებსა და მარშგარბენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში;

5). ატარებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შემოვლას მათი შემოწმებისა და დაცვის მიზნით;

6). გამოსცემს და ავრცელებს სათანადო სპორტულ-პატრიოტულ-ლიტერატურას;

7). უკავშირდება საქართველოში მოქმედ სხვადასხვა სპორტულ სექციებს და მათთან ერთად ქმნის საერთო სპორტულ-საზოგადოებრივ-პატრიოტულ ჯგუფებს;

8). აწყობს პატრიოტული ხასიათის სპორტულ აქციებს;

9). მართავს მასობრივ შეჯიბრებებს სპორტის ეროვნულ სახეობებში;

10). აწყობს სამხედრო პატრიოტულ თამაშობებს.

# ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“

# წესდება

ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“ არის საქართველოს შვილთა სპორტულ-საზოგადოებრივ-პატრიოტული ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ახალგაზრდობის მომზადებას ეროვნულ არმიაში სამხედრო სამსახურისათვის. ასოციაცია მოწოდებულია საქართველოში სამართლიანობის, ადამიანთა უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის.

„იმედი“ იბრძვის საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მისი მოქმედების ასპარეზია მთელი საქართველო.

ასოციაცია ამზადებს იმ ტექნიკური პროფესიების კადრებს, რომელთაც აქვთ სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობა. აგრეთვე აწყობს ტურისტულ ლაშქრობებს, მარშგარბენებს, „იმედი“-ს დახურულ და ღია ჩემპიონატებს, მონაწილეობას იღებს ნებისმიერი რანგის ასპარეზობათა ჩათვლით. ამასთანავე, საერთაშორისო შეჯიბრებაში ასპარეზობს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელით.

„იმედი“ თავის მოვალეობად თვლის, ებრძოლოს ქართველი ერის ღირსების შელახვის ყოველგვარ მცდელობას, რა ფორმებშიც არ უნდა ვლინდებოდეს იგი. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, იგი წინ აღუდგება ყოველგვარ ანტიქართულ გამოვლინებას.

გარდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებისა, რომლებშიც „იმედი“ მიჰყვება საქართველოს სახალხო ფრონტის ხაზს, ასოციაცია სავსებით დამოუკიდებელია თავის ყველა მოქმედებაში.

## 1. მიზნები და ამოცანები

1. 1. დღეისათვის არსებული მწვავე პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გამო „იმედს“ მიაჩნია, რომ საქართველო მძიმე განსაცდელში იმყოფება, ამიტომ ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე ასოციაციის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ეროვნული ძალების სრული კონსოლიდაცია და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისი ფიზიკური გადარჩენის მიზნით.

1. 2. „იმედს“ მიაჩნია, რომ ათეისტურმა იდეოლოგიამ და წლების მანძილზე არსებულმა ეროვნული ცნობიერების დეფიციტმა წარმოქმნა ცრუ კულტი, რამაც გადაგვარების რეალური საფრთხე შეუქმნა ქართველ ერს. ამიტომ ასოციაციის მიზანია ცრუ იდეალების მხილების გზით ჭეშმარიტი იდეალების აღორძინება.

1. 3. დღევანდელი ეროვნული სპორტის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, „იმედის“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობას და დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციების შექმნას.

1. 4. „იმედის“ ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ეროვნული სპორტული თამაშობების აღორძინება, აგრეთვე პროფესიონალ სპორტსმენთა გუნდების, სპორტკლუბების, სპორტსაზოგადოებებისა და სპორტული ფედერაციების შექმნა.

## 2. „იმედის“ წევრობა

2.1. „იმედს“ ჰყავს ჩვეულებრივი, კოლექტიური და ნამდვილი წევრები.

ა. „იმედის“ ჩვეულებრივი წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ყველა პატრიოტი შვილი 10 წლის ასაკიდან, ვინც აღიარებს „იმედის“ წესდებას. „იმედის“ ჩვეულებრივ წევრს უფლება აქვს რეგულარულად იმეცადინოს სპორტის ნებისმიერ სახეობაში, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ შეჯიბრებებში და ღონისძიებებში. ამასთანავე, ყოველ სრულწლოვან წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საზოგადოებრივ-პატრიოტულ საქმიანობაში.

„იმედის“ ჩვეულებრივი წევრი ვალდებულია: მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საზოგადოებრივ და ფიზიკურ შრომით საქმიანობაში, დაემორჩილოს „იმედის“ ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებებს, იყოს დისციპლინირებული და წესრიგიანი.

ასოციაციის 35 წლამდე ასაკის ყოველი ჩვეულებრივი წევრი ვალდებულია სისტემატურად ივარჯიშოს სპორტის რომელიმე სახეობაში.

„იმედის“ ჩვეულებრივი წევრი, რომელიც არ ასრულებს წესდების შესაბამის მოთხოვნებს, გარიცხულ იქნება „იმედის“ რიგებიდან.

ბ. „იმედის“ კოლექტიური წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში მოქმედი ნებისმიერი სპორტული სკოლა, სპორტული საზოგადოების ნებისმიერი სპორტული გუნდი ან პროფესიონალ სპორტსმენთა ნებისმიერი გაერთიანება.

კოლექტიური წევრის ყოველი სპორტსმენი „იმედის“ რიგებში ერთიანდება ჩვეულებრივი წევრის უფლება-მოვალეობით.

კოლექტიურ წევრს უფლება აქვს: იასპარეზოს სპორტულ შეჯიბრებებში „იმედის“ სახელით, გამოიჩინოს ინიციატივა სპორტული, საზოგადოებრივი და პატრიოტული ღონისძიებების ჩატარებისას, წერილობით მიაწოდოს თავისი მოსაზრებანი „იმედის“ ხელმძღვანელ ორგანოს ასოციაციის საქმიანობის მიმართულებათა დასახვაში, შევიდეს კონკრეტული კონსტრუქციული წინადადებით „იმედის“ ხელმძღვანელ ორგანოში.

„იმედის“ კოლექტიური წევრი ვალდებულია: ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ასოციაციის განვითარების საქმეს. შეძლებისდაგვარად დაეხმაროს ასოციაციას სპორტული ინვენტარითა და მწვრთნელებით, საჭიროების შემთხვევაში ამეცადინოს საკუთარ სპორტულ ბაზაზე „იმედის“ ის წევრები, რომლებზედაც იქნება ხელმძღვანელი ორგანოს სპეციალური ნებართვა და შესაბამისი მიმართვა კოლექტიური წევრებისადმი.

გ. „იმედის“ ნამდვილი წევრი შეიძლება გახდეს ასოციაციის ნებისმიერი საქართველოს პატრიოტი სრულწლოვანი ჩვეულებრივი წევრი, რომელსაც ექნება სათანადო სამხედრო-ტექნიკური ფიზიკური და სპორტული მომზადების დონე, რომელიც წინასწარ გამოიცდება „იმედის“ საქმიანობაში, დაიმსახურებს ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოს ნდობას. ექნება ორი ნამდვილი წევრის რეკომენდაცია და მიიღებს „იმედის“ ფიცს.

„იმედის“ ნამდვილი წევრის ასოციაციის რიგებიდან გარიცხვა ან გასვლა განხილულ იქნება ხელმძღვანელი ორგანოს ერთ-ერთ სხდომაზე სინდისის სასამართლოს წინაშე ამ წევრის თანდასწრებით.

„იმედის“ ყოველი ნამდვილი წევრი თავის მოქმედებაზე პასუხისმგებელია ასოციაციის ხელმძღვანელობის წინაშე.

2. 2. „იმედის“ ნებისმიერი წევრის შეურაცხყოფა არის მთელი „იმედის“ შეურაცხყოფა. „იმედის“ მთელი შემადგენლობა იცავს მისი წევრის უფლებებსა და ღირსებებს.

2. 3. „იმედი“ მორალურსა და სხვა სახის პასუხისმგებლობას თავისი ინდივიდუალური წევრების საქმიანობაზე კისრულობს ამ უკანასკნელის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც „იმედის“ საქმიანობას განეკუთვნება. შესაბამისად, „იმედის“ წევრი „იმედის“ წინაშე პასუხისმგებელია თავის მხოლოდ იმ მოქმედებაზე, რომელიც „იმედის“ სახელით ან „იმედის“ შემადგენლობაში სრულდება.

2. 4. „იმედის“ წევრი არ შეიძლება იყოს კომუნისტური პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

## 3. „იმედის“ შემადგენლობა

„იმედის“ შემადგენლობაში შედის:

3. 1. „იმედის“ ხელმძღვანელი ორგანოები

3. 2. კოლექტიური წევრები

3. 3. „იმედის“ სადროშოები

3. 4. „იმედის“ სამხედრო სასწავლებლები და მათი ფილიალები

3. 5. სარევიზიო კომისია

3. 6. საფინანსო და კომერციულ საქმეთა ჯგუფი

3. 7. ჩვეულებრივ და ნამდვილ წევრთაგან შექმნილი შემდეგი სახის სტრუქტურული ერთეულები:

ა. ასეულები

ბ. ოცეულები

გ. წესრიგის დამცველთა მუდმივმოქმედი ოცეულები

დ. ათეულები

ე. ჩვეულებრივ წევრთაგან შექმნილი რაზმები.

3. 8. ყოველ სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს თავისი მეთაური. ყოველი რანგით დაბალი მეთაური ემორჩილება რანგით მაღალ მეთაურს.

3. 9. ხელმძღვანელი ორგანოების, სარევიზიო კომისიების, ასეულების, ოცეულების, წესრიგის დამცველთა მუდმივმოქმედი ოცეულებისა და ათეულების შემადგენლობაში შედიან „იმედის“ მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი წევრები.

3. 10. „იმედის“ ხელმძღვანელობა საჭიროების შემთხვევაში ქმნის და აუქმებს „იმედის“ შემადგენლობაში სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

## 4. „იმედის“ ხელმძღვანელი ორგანოები

4. 1. „იმედის“ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, ყრილობებს შორის საწინამძღვრო.

4. 2. ყრილობა მოიწვევა წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ყრილობების მოწვევა ხდება „იმედის“ თავკაცის ან საწინამძღვროს ნახევარზე მეტის მოთხოვნით.

4. 3. ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა 2/3.

(დასასრული მე-5 გვ.).

(დასასრული)

4. 4. ყრილობა თავის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ერთი წლის ვადით ირჩევს და ამტკიცებს „იმედის“ თავკაცს და საწინამძღვროს სულ 7 კაცის შემადგენლობით.

4. 5. „იმედის“ თავკაცი „იმედის“ შემადგენლობიდან ირჩევს თავის სამ მოადგილეს, რომელთაც ამტკიცებს ყრილობა (თავკაცის მოადგილეები შედიან საწინამძღვროს შემადგენლობაში).

4. 6. საწინამძღვროს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ სხვა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები, გარდა საქართველოს სახალხო ფრონტისა.

4. 7. საწინამძღვრო იკრიბება კვირაში ერთხელ და საჭიროებისამებრ.

4. 8. საწინამძღვროს სხდომებზე, გარდა საწინამძღვროს წევრებისა, ესწრებიან პირები, რომლებსაც მოიწვევს საწინამძღვრო როგორც კონსულტანტებს. მათ ენიჭებათ სათათბირო ხმის უფლება.

4. 9. საწინამძღვრო კონტროლს უწევს ასოციაციის წევრთა სამხედრო ფიზიკური და სპორტული მომზადების დონეს.

4. 10. „იმედის“ ყრილობებსა და საწინამძღვროს სხდომებს უძღვება თავკაცი.

4. 11. თავკაცის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისი ჯერ პირველი, ხოლო შემდეგ მეორე და მესამე მოადგილე.

4.12. საწინამძღვარო ამტკიცებს სტრუქტურულ ერთეულთა მეთაურებს, სპორტული სექციების მწვრთნელებსა და გუნდისთავებს:

ა. ასეულის მეთაური (მეთაური).

ბ. ოცეულის მეთაური (ოცისთავი).

გ. წესრიგის დამცველთა მუდმივმოქმედი ოცეულის მეთაური (წესისთავი).

დ. ათეულის მეთაური (ათისთავი).

ე. ჩვეულებრივ წევრთაგან შემდგარი რაზმის მეთაური (რაზმისთავი).

ვ. გუნდის მწვრთნელი, ნაკრების მწვრთნელი, გუნდის უფროსი.

ზ. გუნდის კაპიტანი (გუნდისთავი).

4. 13. საწინამძღვრო „იმედის“ წევრთათვის აწესებს სპეციალურ საზეიმო ტანსაცმელს.

4. 14. მეთაურთა, მწვრთნელთა და გუნდისთავთა უფლება-მოვალეობანი დაწვრილებით მოცემულია საწინამძღვროს მიერ დამტკიცებულ შესაბამის დებულებებში.

4. 15. საწინამძღვრო განაგებს „იმედის“ ფულად სახსრებს.

4დ. 16. „იმედის“ ყრილობა თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს და ამტკიცებს საფინანსო და კომერციულ საქმეთა მმართველს.

4. 17. (1) საფინანსო და კომერციულ საქმეთა მმართველი „იმედის“ შემადგენლობიდან ქმნის საფინანსო ჯგუფს, რომელსაც ამტკიცებს საწინამძღვრო.

4. 17. (2) საფინანსო ჯგუფი ორგანიზაციას უწევს ფულადი სახსრების უნაღდო და ნაღდ ანგარიშზე მიღების საშუალებას, აგრეთვე ასოციაციის სხვა ფინანსურ და კომერციულ საქმიანობას.

4. 18. „იმედის“ ყრილობა „იმედის“ შემადგენლობიდან ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარესა და სარევიზიო კომისიას, სულ 3 კაცის შემადგენლობით.

4. 18. (1) სარევიზიო კომისიის განმგებლობაშია ასოციაციის საფინანსო საქმიანობის რევიზია.

4. 18. (2) სარევიზიო კომისია იკრიბება მისი თავმჯდომარის მიერ და მუშაობს თავისი ყოველთვიური გეგმის მიხედვით, ხოლო შემოწმების შედეგებს და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა ნუსხას წარუდგენს „იმედის“ ხელმძღვანელობას.

4. 18. (3) სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მონაწილეობას იღებს საწინამძღვროს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

4. 19. „იმედის“ ყრილობა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ასოციაციის გაზეთის რედაქტორს.

## „იმედის“ სადროშო

5. 1. ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ სადროშო შეიძლება შეიქმნას საქართველოს ნებისმიერ კუთხეში (ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა. შ.), აგრეთვე საქართველოს ზღვისპირეთში (დიდი ზღვისპირა ქალაქები).

5. 2. სადროშო არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი და საკუთარი ანგარიში ბანკში.

5. 3. სადროშოს, შესაბამისი სტატუსით სათანადო განხილვის შემდეგ ამტკიცებს „იმედის“ საწინამძღვრო.

5. 4. სადროშოს ხელმძღვანელი ორგანოა სადროშოს საბჭო სულ 5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ირჩევს სადროშოს კრება და ამტკიცებს „იმედის“ საწინამძღვრო.

5. 5. „იმედის“ საწინამძღვრო ნიშნავს სადროშოს წინამძღოლს, რომელიც შედის სადროშოს საბჭოს შემადგენლობაში და ხელმძღვანელობს სადროშოს საქმიანობას.

5. 6. სადროშოს გააჩნია საკუთარი დროშა („იმედის“ დროშის ანალოგი) შესაბამისი განმასხვავებელი მცირედი ნიშნით.

5. 7. სადროშოს შემადგენლობაში შედის მისი ტურისტული ჯგუფები, კოლექტიური წევრები და პროფესიონალ სპორტსმენთა გაერთიანებები შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებითურთ (ათეულები, ოცეულები, ასეულები და ა. შ.).

5. 8. სადროშოს ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია „იმედის“ საწინამძღვროს წინაშე, მისი ფინანსებისა და საქმიანობის რევიზიას ატარებს „იმედის“ საწინამძღვრო“ სარევიზიო კომისიასთან ერთად.

## 6. „იმედის“ ტერიტორიული ჯგუფი

6. 1. „იმედის“ ტერიტორიული ჯგუფი შეიძლება შეიქმნას საქართველოს ნებისმიერ დასახლებულ ადგილას. ამ ჯგუფის შექმნა უნდა განხორციელდეს საწინამძღვროს წევრთა ან შესაბამისი ზონის სადროშოს საბჭოს (თუ შესაბამის ზონაში სადროშო უკვე არსებობს) წევრთა უშუალო მეთვალყურეობითა და აქტიური ხელმძღვანელობით.

6. 2. ტერიტორიული ჯგუფის ასეულთა მეთაურებს, რაზმისთავებსა და მწვრთნელებს პირდაპირი კავშირი აქვთ საწინამძღვროსთან (სადროშოს საბჭოსთან).

## 7. „იმედის“ სამხედრო სასწავლებლები და მისი ფილიალები

7. 1. „იმედის“ სამხედრო სასწავლებლები და მათი ფილიალები იქმნება ერთადერთი კონკრეტული მიზნით. კერძოდ საქართველოში სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებისათვის და მომავალი თავისუფალი საქართველოსათვის საოფიცრო კადრების მომზადებისათვის, რათა საქართველოში შეძლებისდაგვარად შეუფერხებლად მოხდეს ეროვნული არმიის ფორმირება და მათი პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება.

7. 2. სამხედრო სასწავლებელი და მის დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლებლის ფილიალები არიან იურიდიული პირნი, აქვთ მრგვალი ბეჭედი და საკუთარი ანგარიში ბანკში.

7. 3. სასწავლებლის საქმიანობას უძღვება სასწავლებლის მეთაური (მაღალი ჩინის სამხედრო პირი), რომელსაც ნიშნავს „იმედის“ საწინამძღვრო.

7. 4. სასწავლებლის პედაგოგ-ინსტრუქტორებს იწვევს „იმედის“ საწინამძღვრო მაღალი ჩინის სამხედრო პირთაგან საკონკურსო შერჩევის გზით სასწავლებლის მეთაურთან ერთად.

7. 5. სასწავლებლის პროგრამას ამტკიცებს „იმედის“ თავკაცი და სასწავლებლის მეთაური „იმედის“ საწინამძღვროს, სასწავლებლის პედაგოგებსა და მოწვეულ პროფესიონალებთან ერთად გაფართოებულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე.

## 8. „იმედის“ ადგილსამყოფელი

8. 1. „იმედის“ საწინამძღვროს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

8. 2. სადროშოების, კოლექტიური წევრებისა და ტერიტორიული ჯგუფების ადგილსამყოფელია — საქართველოს შესაბამისი პუნქტები.

## 9. „იმედის“ სიმბოლიკა

9. 1. „იმედს“ აქვს თავისი დროშა, ღერბი, ჰიმნი, სამკერდე ნიშანი და ემბლემა.

9. 2. „იმედის“ სიმბოლიკას ამტკიცებს ყრილობა.

9. 3. სიმბოლიკა შეიძლება დამზადდეს მხოლოდ და მხოლოდ საწინამძღვროს ნებართვით.

## 10. „იმედის“ სახსრები

„იმედი“ ილვწის მივიწყებამდე მისული ეროვნული სპორტული თამაშობების აღორძინებისათვის. საქართველოს სპორტული პოტენციალის გონივრულად და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის, საქართველოში პროფესიონალური სპორტის დამკვიდრებისათვის.

10. 1. დებულობს „იმედის“ წევრთა, გარეშე პირთა, სხვადასხვა ორგანიზაციათა, წარმოება-დაწესებულებათა და საზოგადოებათა მიერ გაღებულ შემოწირულობებს. არ გამორიცხავს მათ შორის ინკოგნიტოს.

10. 2. ქმნის ასოციაციის საწარმოებს, ფირმებს, კოოპერატივებს, სააქციო საზოგადოებებსა და გამომცემლობას.

10. 3. თანამშრომლობს უკვე არსებულ კოოპერატივებთან, წარმოება-დაწესებულებებთან, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის ფირმებთან, სპორტკლუბებთან და და სპორტულ ასოციაციებთან.

10. 4. ქმნის პროფესიონალ სპორტსმენთა გუნდებს, სპორტკლუბებს, სპორტსაზოგადოებებს და სპორტულ ფედერაციებს.

10. 5. დებს ხელშეკრულებას პროფესიონალ სპორტსმენებთან.

10. 6. აწყობს შრომით დღეებს საწარმოებში, მშენებლობებსა და მეურნეობებში.

10. 7. მართავს სხვადასხვა კულტურულ-დასვენებით და სპორტულ ღონისძიებებს.

10. 8. „იმედის“ ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხსფ შეძლებისდაგვარად გამოუყოს „იმედს“ საკუთარი ფონდიდან ფულადი სახსრები.

10. 9. ქმნის ჰუმანიტარულ და საწარმოო გაერთიანებებს.

10. 10. „იმედის“ იმ წევრს, რომელიც მოიძევს და ჩაარიცხვინებს „იმედის“ ანგარიშზე ფულად სახსრებს პრემიის სახით აუნაზღაურდება მის მიერ მოძეული სახსრის 5%.

10. 11. ასოციაცია შეძლებისდაგვარად მატერიალურ დახმარებას უწევს ხელმოკლე და მრავალშვილიან ქართველ ოჯახებს.

## 11. „იმედის“ იურიდიული უფლებები

ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“ არის იურიდიული პირი. აქედან გამომდინარე:

11.1. „იმედს“ აქვს ავტონომიის სრული უფლება.

11. 2. „იმედს“ აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში, ასოციაციათა შემოსავლის, აგრეთვე უცხოური ვალუტის ჩასარიცხავად და მათი დადგენილი წესით ალსარიცხავად.

11.3. „იმედს“ აქვს მრგვალი ბეჭედი, საკანცელარიო ბეჭედი და შტამპი შესაბამისი წარწერებით.

11.4. „იმედს“ აქვს უფლება აღძრას სარჩელი ან საჩივარი.

11.5. „იმედს“ აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „იმედი“.

11. 6. „იმედს“ აქვს უფლება იყოლიოს ხელფასიანი თანამშრომლები.

11.7. „იმედს“ აქვს უფლება შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას.

## 12. „იმედის“ ლიკვიდაცია

12.1. „იმედის“ ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს „იმედის“ ყრილობის გადაწყვეტილებით. ამასთანავე, ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს აუცილებლად მწვრთნელების, ასისთავების, გუნდისთავების თანდასწრებით.

12.2. „იმედის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში (თუ მან არ აიღო თავის თავზე სხვა რაიმე ფუნქცია) მისი უძრავი და მოძრავი ქონება, აგრეთვე ფულადი სახსრები პირველ რიგში განაწილდება მრავალშვილიან და ხელმოკლე ქართულ ოჯახებზე, აგრეთვე გამოყენებულ იქნება სხვა ეროვნულ საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

---

# საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“-ს ეროვნული სამხედრო სასწავლებელი

# წესდება

ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“-ს ეროვნული სამხედრო სასწავლებელი იქმნება ერთადერთი კონკრეტული მიზნით. კერძოდ, საქართველოში სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებისათვის და მომავალი თავისუფალი საქართველოს საოფიცრო კადრების მომზადებისათვის, რათა საქართველოში შეძლებისდაგვარად შეუფერხებლად მოხდეს მომავალი არმიის ფორმირება და მისი პროფესიონალური კადრებით დაკომპლექტება.

## 1. მიზნები და ამოცანები

1. 1. სამხედრო სასწავლებლის შექმნა მიზნად ისახავს ოფიცერთა კადრების მომზადებას საქართველოს არმიისათვის.

1. 2. სასწავლებლის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ახალგაზრდობის დაინტერესება და მისი მიზიდვა საქართველოს მომავალ არმიაში სამხედრო სამსახურისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების და მისი მოსახლეობის მშვიდობის დასაცავად ყველა სახის გარეშე მტრის წინააღმდეგ.

## 2. სასწავლებლის საქმიანობა

2. 1. სასწავლებლის საქმიანობას უძღვება სასწავლებლის მეთაური (მაღალი წოდების სამხედრო პირი), რომელსაც ნიშნავს „იმედი“-ს საწინამძღვრო.

2. 2. სასწავლებლის პედაგოგ-ინსტრუქტორებს იწვევს „იმედი“-ს საწინამძღვრო მაღალი წოდების სამხედრო პირთაგან საკონკურსო შერჩევის გზით სასწავლებლის მეთაურთან ერთად.

2. 3. სასწავლებლის პროგრამას ამტკიცებს „იმედი“-ს თავკაცი და სასწავლებლის მეთაური „იმედი“-ს საწინამძღვროსა, სასწავლებლის პედაგოგებსა და მოწვეულ პროფესიონალ-სპეციალისტებთან ერთად გაფართოებულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე.

2. 4. სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საკონკურსო შერჩევის გზით.

2. 5. სასწავლებელში მიღებისას უპირატესობა ენიჭებათ პირველ რიგში

ა) 17-დან 22 წლამდე ასაკის ჭაბუკებს

ბ) უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს

გ) გარკვეული წარმატების მქონე მოქმედ სპორტსმენებს

დ) საუკეთესო ფიზიკური მონაცემების მქონე პირთ.

2. 6. სასწავლებელში მეცადინეობა მიმდინარეობს 6 თვიან, 3 წლიან და 5 წლიან საოფიცრო კურსებზე შემდეგი პრინციპით:

თავდაპირველად ყველა კურსანტი სწავლას იწყებს ერთად. 6 თვის შემდეგ სათანადო საკონკურსო შემოწმების შემდეგ წარჩინებულნი, თუ მათ ამის სურვილი აქვთ, აგრძელებენ სწავლას 3 წლიან, ხოლო შემდეგ 5 წლიან კურსებზე.

2. 7. სასწავლებლიდან გარიცხვა შეიძლება მოხდეს აკადემიური ჩამორჩენილობის, უდისციპლინობისა ან კურსანტის სამართალში მიცემის შემთხვევაში.

## 3. სასწავლებლის იურიდიული უფლებები

ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“-ს სამხედრო სასწავლებელი არის იურიდიული პირი, აქედან გამომდინარე:

3. 1. სასწავლებელს აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში ფულადი სახსრების ჩასარიცხად და მათი დადგენილი წესით ალსარიცხად.

3. 2. სასწავლებელს აქვს მრგვალი ბეჭედი, საკანცელარიო ბეჭედი და შტამპი შესაბამისი წარწერებით.

3. 3. სასწავლებელს აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „მხედარი“.

3. 4. სასწავლებელს აქვს უფლება შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას.

## 4. სასწავლებლის ლიკვიდაცია

4. 1. სასწავლებლის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ზემდგომი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით.

4. 2. ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ მის შემდეგ, რაც იგი შეწყვეტს მიღებას და უკვე მიღებული მოსწავლეები დაამთავრებენ სასწავლებლის სრულ კურსს.

4. 3. სასწავლებლის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი უძრავი და მოძრავი ქონება გადადის ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“-ს განკარგულებაში.

ცნობილია, რომ სოციალისტური ფორმაციის ავტორები არიან მარქსი, ენგელსი და ლენინი. მართალია, თავის დროზე სტალინსაც ჰქონდა პრეტენზია (და არცთუ უსაფუძვლო) იდეის თანაავტორობაზე, ხოლო მოგვიანებით ხრუშჩოვსაც და ბრეჟნევსაც გაუჩნდათ ამ მაცდური ნააზრევის მითვისების სურვილი, მაგრამ სოციალიზმის მშენებლობის იდეა, უდავოდ, პირველად დასახელებულ სამეულს ეკუთვნის, რადგან სწორედ მათ მოიგონეს ე. წ. „მეცნიერული კომუნიზმის“ თეორია. თუმცა ვის შექმნილადაც არ უნდა ჩაითვალოს ეს თეორია, ერთი რამ ცხადია — სოციალიზმი არ „გამოვიდა“ (და არც არასოდეს გამოვა). რატომ ჩაფლავდა ეს ერთი შეხედვით მომხიბლავი გეგმა? კაცობრიობის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობები ბუნების მიერ ნაკარნახევი გზით, თვითგანვითარების გზით კი არ წარიმართა, არამედ „მეცნიერულად“ იქნა „გამოანგარიშებული“ ჟენევასა და შუშენსკოეში და კაცობრიობასაც ამ „гениальное предначетание“-თი უბრძანა სიარული. გავიხსენოთ ჩვენში არსებული მოწოდებები „პარტიის გზით კომუნიზმისაკენ“, „გადავაქციოთ პარტიის იდეა რეალობად“ და სხვ.

„ფილოსოფოსებმა მხოლოდ ნაწილობრივ ახსნეს სამყარო, ხოლო საქმე მის რეალურ გარდაქმნაშია“. მარქსის ეს სიტყვები XIX საუკუნის 50-იან წლებშია დაწერილი, მაშინ, როცა ევროპა მეცნიერებასა და ტექნიკაში სწრაფი ნაბიჯებით მიიწევდა წინ და იქმნებოდა ილუზია იმისა, რომ ადამიანი შეძლებდა სამყაროს თავის შეხედულებისამებრ გადაკეთება-გადმოკეთებას და საბოლოოდ მასზე გაბატონებას. დღეისათვის კი ცხადი გახდა (მწარე გაკვეთილების შემდეგ), რომ სამყარო თვითმყოფადი, თვითორგანიზებადი, თვითგანვითარებადი და თვითმართვადი სისტემაა. მხოლოდ თვითგანვითარებისა, თვითმართვადი გზით შეუძლია სისტემას მივიდეს მდგრადი წონასწორობის მდგომარეობამდე და იყოს ოპტიმალური და მისაღები ყველა მოცემული შემთხვევისათვის, ხოლო ბუნების კანონების ძალით შეცვლა-გადაკეთების ცდა ყოველთვის იწვევდა და იწვევს სისტემის როგორც მთლიანის დესტაბილიზაციასა და, აქედან გამომდინარე, გაუთვალისწინებელ შედეგებს.

მარქსისა და მისი მიმდევრების მოძღვრება სწორედ იმიტომ იყო ჩანასახშივე მცდარი და განუხორციელებელი, რომ მათ საფუძველშივე უარყვეს სამყაროს არსებობის ძირეული პრინციპი „ბუნების მბრძანებლობისა“, ასე ლაკონიურად და ამომწურავად რომ არის გამოთქმული დიდი ვაჟას შეგონებაში „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“. ამან კი სოციალიზმის იდეას იმთავითვე გაუთხარა სამარე.

ამგვარად, სოციალიზმი დამარცხდა უკვე მაშინ, როცა ბუნების განვითარების თვითორგანიზაციის პრინციპის ნაცვლად რეგლამენტაციის წესი აღიარა და საზოგადოება ბუნებრივი, ადამიანური ყოფითი ცხოვრების მაგიერ «единственно правильной теории»-ით ცხოვრება აიძულა.

დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ სამყაროს თვითნებური გადაკეთება არ შეიძლება. იგი უნდა მივიღოთ ისე, როგორც ეს არის მოწყობილი — საკუთარი კანონების მიხედვით. კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი ისტორია გვეუბნება, რომ ცხოვრებისეულია მხოლოდ ის, რაც ბუნებამ თვითგანვითარებით შექმნა. ხელოვნურად შექმნილი კი სამყაროსგან განიდევნება და ნადგურდება კიდეც.

# „ძმური ოჯახის“ რაობისათვის

ახლა შევეცდებით აქსიომის საფუძველზე განვიხილოთ საბჭოთა საზოგადოების განვითარება.

ალბათ არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება — რუსული ხელისუფლებაა, ხოლო რუსული სახელმწიფოს აგების წესი, როგორც ცნობილია, ემყარებოდა კანონს — ტირანული მმართველობა და ამ ტირანიით კმაყოფილი ხალხი — ზემდგომის ყმა და ქვემდგომის ბატონი. პატრონყმური ცხოვრების წესის ამსახველ ბევრ ეპიზოდს შევხვდებით მე-19 ს. კლასიკოსების (სალტიკოვ-შჩედრინის, გოგოლის, ჩეხოვის, დოსტოევსკის და სხვ. შემოქმედებაში). ეს ცნობილი ფაქტია და ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მკითხველს შევახსენებთ მხოლოდ ფრანგი მოგზაურის მარკიზ დე კიუსტინის სიტყვებს, რომელმაც რუსეთში იმოგზაურა XIX საუკუნის შუა პერიოდში: „მთავრობა რუსეთში მხოლოდ სიცრუით ცხოვრობს, რადგან სიმართლის მტარვალსაც ეშინია და მონასაც“, „რუსები უზენაეს ხელისუფლებას თაყვანს სცემენ, როგორც სარწმუნოებას“, „რუსეთში არ არის საზოგადოებრივი შეგნება... აქ ხალხის მასებში უფლებრივი თვითშეგნების ადგილი უჭირავს ინსტიქტურ, თითქმის ცრუმორწმუნე სიყვარულს მთავრობისადმი“ (მარკიზ დე კიუსტინის ციტატები ამოღებულია ბატონ აკაკი ბაქრაძის ლექციების კურსიდან).

იქნებ პატრონყმური ცხოვრების წესი არც ისე ცუდია, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ალბათ, კარგი და შესანიშნავიცაა იმ ერისთვის, ვინც ის შექმნა, ვისთვისაც ის მისაღებია და ვისთვისაც სხვანაირად ცხოვრება წარმოუდგენელია.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ცხოვრების ეს წესი ისევე როგორც ევროპის სხვა ხალხებისათვის პრინციპშივე მიუღებელია მაშინ, როდესაც „რუსეთში დესპოტიზმი მთელი მმართველობის საფუძველია, მაგრამ ეს დესპოტიზმი სრულიად ეგუება ხალხის სულს“. ცნობილია, პატრონყმური ცხოვრების რუსული წესი ეს იგივე აღმოსავლურ-აზიური წესია. ამიტომ სავსებით ლოგიკურია ის, რომ რუსეთმა თავის წიაღში შთანთქა და გაითავისა მონღოლ-თათრები და რუსულ-მონღოლურ-თათრული სახელმწიფო აღმოსავლეთით, — ბუნებრივი მიმართულებით — გაიწელა. „რუსეთში დესპოტური მმართველობა და ასეთი მმართველობისადმი შეგუება, ეტყობა, თვით რუსი ხალხის ხასიათმა განაპირობა, რადგან მონღოლებმა სხვა ხალხებზეც იბატონეს, მარამ ვერავითარი სულიერი ზეგავლენა მათზე ვერ მოახდინეს, ვერც მონობისადმი სიყვარული დაამკვიდრეს სადმე და ვერც სხვა ხალხების ჯალათებად ვერ გარდაქმნეს ისინი“. სწორედ ცხოვრების ეს წესი შობს რუსულ მესიანისტურ იდეას მსოფლიო მპყრობელობის მანიას, ვითომდა ხალხთა განთავისუფლების კეთილშობილური მიზნით. „იმას, ვისაც წილად ხვდა... ამ ქვეყანაში დაბადებულიყო, მხოლოდ ის დარჩენია, რომ თავი ინუგეშოს ამაყი ოცნებით და მთელ ქვეყანაზე გაბატონების იმედით... რუსეთი ცოცხლობს და აზროვნებს როგორც დამპყრობელი არმიის ჯარისკაცი“.

რუსეთის ისტორიის მანძილზე მისი ცხოვრების წესს რამდენჯერმე შეულამაზეს ფასადი. პეტრე I-მა უბრძანა რუსეთს ევროპული ცხოვრებით ცხოვრება. მანაც „წვერი გაიპარსა, ფრჩხილები დაიჭრა და ამიერიდან მას ევროპა დაერქვა“. პატრონყმურმა რუსეთმა მთელი საუკუნე ჭინთვების შემდეგ შვა... არარუსული, უცხო სხეული — „ტოლსტოის ინტელიგენცია“, რომელიც თავადვე მოაქცია სრულ იზოლაციაში. როგორც ზღვა გარიყავს ხოლმე უცხო სხეულებს, ისე გაინაპირა იგი და ბოლოს გაანადგურა კიდეც.

ყველა კოსმეტიკური შელამაზების შემდეგ რუსული სახელმწიფო მანქანა ისევ მისთვის ბუნებრივ სავალს, ათასგზის გატკეპნილ პატრონყმურს გზას მიჰყვებოდა..., მაგრამ (მ) და (ბ) სოციალ-დემოკრატებმა მარქსის „ნააზრევის“ გასატარებლად სწორედ რუსეთი მოინიშნეს... ყმებს იდეა მამასისხლად მიჰყიდეს, რუსული სახელმწიფო მანქანა წონასწორობის მდგომარეობიდან გამოიყვანეს და ხრამში გადაჩეხეს. რუსეთს „კომუნიზმში“ ცხოვრება უბრძანეს, და რუსეთმაც კიდევ ერთხელ შეასრულა ავზნიანი პატრონის ბრძანება და მორჩილად დაიჭირა ხელში წითელი ბაირაღი.

მშვენივრად მიხვდა სტალინი, რომ პატრონყმური რუსეთი თავის წიაღში «уравниловка»-ს ვერ მოითმენდა და თვითონვე შეუდგა რუსული სახელმწიფო მანქანის აღდგენას. დაიწყო პატრონყმური ცხოვრების წესის ენერგიული და სასტიკი დანერგვა. ჩვენდა სავალალოდ ეს წესი ჩვენშიც, საქართველოშიც, დაინერგა. ბევრმა ჩვენგანმა იგი გაითავისა და მრავალმა ქართველმა მოირგო „ხალათი“ და „ყაენის კარი“. ყველას გვსმენია, თუ როგორ მოენატრა „დიდ ყაენ“ ბრეჟნევს (ილიჩს) მთაწმინდის რესტორანში უნაკლო სუფრაზე, „ხრენი“, (პირმუშხა) როგორ შემოირტყეს თავში ხელი ქართველმა „ხაზეინებმა“ და როგორ აფრინეს შოფრები ქალაქში „ხრენის“ საშოვნელად: დღესაც ბევრი იგონებს ამაყად, რომ სანუკვარი „ხრენი“ სწორედ მან მიართვა „ყაენს“. ან დაფეთებულ ბუღასავით როგორ დარბოდა „ოქროს ურდოელი“ ლიგაჩოვი (იგივე კუზმიჩი) თბილისში და როგორ აგინებდა ყველას და ყველაფერს, საწყალი „ხაზეინები“ კი ერთმანეთის ზურგებს ეფარებოდნენ.

70-იანი წლების დასასრულს პატრონყმური სახელმწიფოს აღდგენა დამთავრდა, ხოლო იმპერიაში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებით კი საბოლოოდ დამკვიდრდა. ასეთი მმართველობა კი ყველაზე უფრო შეესაბამება რუსულ სახელმწიფოს, იმ სახელმწიფოს, სადაც ძალაუფლება ყოველთვის პერსონიფიცირებული და გაფეტიშებულია. აღდგა წლების წინ წითელ ბურჟუაზიად წოდებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური აპარატი აყვავებული კორუფციითა და ასევე თვითკმაყოფილი მორჩილი უმრავლესობით. (მკითხველს ვთხოვ მარკიზ დე კიუსტინის საუკუნე-ნახევრის წინ დაწერილი სიტყვები დღევანდელობისათვის თუ ჯერ არ შეუდარებია — შეადაროს) კიდევ ერთხელ დავესესხოთ მარკიზ დე კიუსტინს: „ეს მოსახლეობა... მოძრაობაში მოჰყავს მხოლოდ ერთ ადამიანს“, „რუსული სახელმწიფოებრივი წესწყობილება, ეს სასტიკი სამხედრო დისციპლინა..., რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს ნორმალურ მდგომარეობად“. „იმ ტერორის გამო, რომელიც ყველას თავს დასტრიალებს, მონური მორჩილება მოქმედების ურყევ წესად ხდება. ჯალათნი და მსხვერპლნი ერთნაირად არიან დარწმუნებულნი ბრმა მორჩილების აუცილებლობაში“.

ზოგიერთს პატრონყმური ცხოვრება ყელზე საბელგამობმული ყმისა და ხელში სახრიანი პატრონის ურთიერთობით წარმოუდგება (სამწუხაროდ, მხოლოდ ასე გვასწავლიდნენ), ისე არც მთლად უამისობაა, მაგრამ პატრონყმური ფორმაციაც ევოლუციას განიცდის, იგი თავის თავში ვითარდება როგორც ბუნებრივი მოვლენა და ლოგიკურ დასასრულამდე მიდის.

დღესაც ბევრისაგან [illegible], რომ „ჩვენ, ჩვენი გზა [illegible] ქრისტიან [illegible] შირეთ“ და ა. შ. არა ბატონო! ჩვენი სავალი არავისთვის დაგვიკავშირებია და ჯვარიც არავიზე გვაქვს სამუდამოდ დაწერილი. რუსეთმა ქრისტიანობა მე-10 საუკუნეში მიიღო, მაგრამ ამ უაღრესად სათნო რელიგიამ ვერ გარდაქმნა წარმართობის დროინდელი რუსი ხალხის ბარბაროსული ბუნება. „ვისაც თვით უტარებია მონობის უღელი, არასოდეს არ შეეცდება იგი შეუმსუბუქოს იმათ, ვისაც ამ უღელს ადგამს“.

ახლა ყური მივუგდოთ ჩვენს მამულიშვილებს:

„ვხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა; უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთაგან დაშორებული; და ვითარცა ტყვენი ვაზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრად. მიხედეთ ამათ მართლმსაჯულებასა, განა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა?“ (პლ. იოსელიანი, ცხბა გიორგი მეცამეტისა, გვ. 204).

რუსი ხალხის შესახებ საგულისხმო დახასიათებას იძლევა აგრეთვე დიდი ეროვნული გმირი ალექსანდრე ბატონიშვილი: „რუსები ბუნებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მაგათში არა მკვიდრობს, სწორისა და მრუდის გარჩევა არ იციან, ერთგულისა და ორგულის მისაგებელი ციმბირიაო“ — გვაუწყებს იგი (ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წ., გვ. 79).

თავისუფალი ევროპელი ხალხებისათვის პატრონყმური ცხოვრების მოდელი მიუღებელი აღმოჩნდა, რუსეთმაც ისინი როგორც უცხო სხეულები უფრო ადვილად დათმო, ვიდრე რჯულით მონათესავე აზიის ხალხები (ავღანეთი) სსრკ ხომ რუსულ-მონღოლურ-თათრული აზიური სახელმწიფოა! იგი თავის წიაღში უცხო არსებას დიდხანს ვერ მოითმენს და თავად მოიკვეთავს მას. ხოლო ჩვენ, ქართველებმა, ჩვენი ძალისხმევა საკუთარი სისხლისა და ხორცის გაჯანსაღებასა და გამთლიანებას უნდა მოვახმაროთ. ჩვენ ჩვენი ცხოვრების წესი უნდა აღვადგინოთ, უნდა განვამტკიცოთ შერყეული ქრისტიანული ზნეობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩვენი ცხოვრების საფუძველთა საფუძველი იყო. ამით გავემიჯნებით რუსული ცხოვრების მოდელს, ერთმანეთისთვის უცხო გავხდებით და ამიტომ ერთმანეთსაც ადვილად შეველევით. ყველამ, ყველამ უნდა დავინახოთ ილიას მიერ გაკვალული გზა და ვიაროთ ისე, რომ „არ ვირხეოდეთ ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“.

ყველა ერს განვითარების თავისი გზა აქვს გასავლელი, ყველას თავ-თავის გზაზე გაუმარჯოს და რაც ჩვენთვის, ქართველებისათვის უნდოდეთ და ემეტებოდეთ, ის მისცეთ ღმერთმა.

**ანდრო ტოროტაძე**

# შეიცან თავი შენი

**პოლემიკა**

ივერთ მწერლობა (ქართულ სამღვდელოებასთან ერთად) ოდითგანვე ერის ზნეობრიობის სადარაჯოზე იდგა. მრავალი ქარტეხილიანი საუკუნის განმავლობაში (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უმთავრესად თავდაცვა უხდებოდა ველური ან ნახევრადველური ტომებისაგან). მან პირნათლად მოიხადა ის ვალი, რომელიც არსთაგამრიგემ დააკისრა.

ქართველი მწერლის ხსენება სულ სხვანაირად აღიქმება ქართველის ცნობიერებაში. (იხ. ინტერვიუ აკაკი ბაქრაძესთან. ჟურნალი „ცისკარი“, № 8, 1988) იგი (მწერალი) არამარტო მესიტყვეა, აგრეთვე, ყოველი ჭეშმარიტი ქართველის ეტალონიცაა, საფიცარია და თაყვანსაცემი.

მწერლის ტალანტით იშვიათად აჯილდოებს არსთაგამრიგე. ქართული მწერლობის თვალსაწიერს თუ გავისიგრძეგანებთ ნათლად დავრწმუნდებით, რომ მამა ღმერთმა თავისი ბარაქიანი კალთის მადლი ქართულ მწერლობასაც დაამჩნია. რასაკვირველია, ყველა ქართველი მწერალი არ ყოფილა იაკობ ხუცესის, გიორგი მერჩულეს, რუსთაველის, საბა ორბელიანის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის, კონსტანტინეს და სხვათა და სხვათა მსგავსი ტალანტი, მაგრამ ზნეობრიობისა თვალსაზრისით თითქმის უნაკლონი იყვნენ.

წინამდებარე პუბლიკაციაში მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო მწერალთა მარაქაში გარეულ კაცზე, განსაკუთრებით კი მის „ღვაწლსა“ და ქცევაზე (რაღა თქმა უნდა, დამამტკიცებელი საბუთების ქრონოლოგიური წარმოდგენით) მინდა გავამახვილო ყურადღება და თუ რამდენად იმსახურებს ერის წმინდა დროშის გვერდით დგომას, კომენტარი იმისათვის მიმინდვია, ვისაც როგორ უჭრიდეს სინდისი.

ჩემი წერილი ძირითადად ეხება გაზეთ „საქართველოს“ 17 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ბარათის ავტორს, აკაკი გელოვანს, რომელსაც დაავიწყდა რუსთაველის შეგონება „ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თათბირსა, გაგონებასაო“, გაზეთ „საქართველოში (13. 05. 1990 წ.) დაბეჭდილ ჩემს ტკივილნარევ წერილს „დროა დავარისხოთ ზარები“ დემაგოგიური შტურმით უპასუხა და აშკარა ცილისწამებაში დამდო ბრალი.

თავდაპირველად, იმ ქარაგმულ გამონათქვამზე შევჩერდები, სადაც აკაკი გელოვანი სამაჩაბლოში მიმდინარე არასასიამოვნო პროცესებსა და ვანდალურ აქციებზე მიმანიშნებს და მეუბნება: „დამსჯელ-გამკითხავი არავინააო“. ამით, ალბათ, იმის თქმა სურდა, რომ გია თასოევი შიდა ქართლში განვითარებული მოვლენების მიმართ გულგრილობაში დაედანაშაულებინა და პერსონალურად მას (გია თასოევს) ეგო პასუხი ყველაფერზე.

ბატონო აკაკი, თქვენ — „ერთობ მოუცლელ“ კაცს, კიდეც რომ ჩამოგითვალოთ, მაინც ვერ შეგკადრებთ სამაჩაბლოზე ჩემი წერილების წაკითხვას (სადაც ჩემი დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად გამოვხატე) და მაინც ცნობისათვის აღვნიშნავ, რომ მე არ ვიხსნი ჩემს წილ პასუხისმგებლობას სამაჩაბლოს ამბებზე და, თუ გაინტერესებთ, მეტსაც გეტყვით, უფრო ზუსტად, ციტატას მოვიყვან ჩემი წერილიდან: (რომელიც დღის სინათლეს ვერ ეღირსა, მაგრამ გულს ის მიმაგრებს, რომ ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაზე მაინც ვთქვი) „ცნობილი ენათმეცნიერის ვასო აბაევის განმარტებით ოსური სიტყვა „ვაცაირაგ“ ტყვით ვაჭრობას ნიშნავს. ძველად ოსთა ძირითადი საქმიანობა ტყვით ვაჭრობა ყოფილა“. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ამ უსაშინელესი ცოდვის გამო არიან დღეს ოსები ასე თავგზააბნეულები (მტერ-მოყვარე რომ ველარ გაურჩევიათ) და წმინდა ეკლესიების აფეთქებით კიდევ უფრო იმძიმებენ ისედაც დამძიმებულ თავიანთ ცოდვებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, სალოცავების (ღვთისმშობელი გაუწყრეს მის ამფეთქებლებს) აფეთქებით ველურობას თუ არა ნახევრადველურობას მაინც ადასტურებენ.

ბატონო ოპონენტო, რატომ მაბრალებთ, თითქოს გია თასოევს თქვენს მიმართ ანგარიშსწორება ამოძრავებდეს და ამიტომაც ამტკიცებდეს, რომ დავით პაკელიანმა დანაშაული ბიძის ზურგის იმედით ჩაიდინაო. ბატონო აკაკი, გაცილებით აჯობებდა, ჩემი წერილი დაკვირვებით წაგეკითხათ და გაგეანალიზებინათ, მაგრამ, როგორც ეტყობა, თქვენ ისე მიეჩვიეთ სხვისი ნააზრევის ერთი წიგნიდან მეორეში გადატანას, რომ ეჭვგარეშეა, აზროვნებისა და ანალიზის უნარი სავსებით დაგკარგვიათ.

მე რომ ბნელი ძალების დამქაშს მიწოდებთ, სანამ იმ სიტყვებს ქაღალდზე გადაიტანდით, ნუთუ თქვენი „მწერლური“ ალღო ოდნავ მაინც არ შეყოყმანებულა. ხომ არ გგონიათ, თქვენგან ასე შერისხული ჟურნალისტი გია თასოევი ამქვეყანაზე ჯუსოით-ჩოჩიევებმა გამოიყვანეს? თუ გგონიათ, მწარედ მოტყუებულხართ! მე ჩემი მშობლების შემდეგ თუ ვინმესაგან ვარ დავალებული, უპირველესად მათგან, ვინაც ქართულ ეროვნულ მოძრაობაშიც და ყველგან (რაც მთავარია საქმით) კაცური კაცის სახელითაა ცნობილი.

ასევე მწარედ მოტყუვდით, როცა უფალი პროკურორის გიორგი აგლაძის ვერსია ირწმუნეთ, თითქოს გია თასოევი საქმეს არ იცნობსო და ამის გამო თავადაც საკმაოდ შეგეშალათ და დაუკრეფავში (თქვენივე სიტყვები რომ

(დასასრული მე-8 გვ).

# დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბანკო სისტემა

**ნებისმიერი** ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, მისი ტემპები და მიმართულებები, მნიშვნელოვნადაა განპირობებული საკრედიტო პოლიტიკით, რადგან საკრედიტო რესურსები თავისი მოცულობით ბევრად აღემატება თვით სახელმწიფო ბიუჯეტსაც, რამდენადაც ბიუჯეტის დროებით თავისუფალი სახსრები თავის მხრივ წარმოადგენენ საკრედიტო რესურსების შემადგენელ ნაწილს; მით უფრო, რომ სასესხო ფონდი ყველაზე მოქნილი და მანევრირებული ფინანსური რესურსია სახალხო მეურნეობისათვის, კრედიტების სამეურნეოანგარიშიან ბუნებაზე და საბანკო კონტროლის ეფექტურობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ის გარემოება, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებელ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ასევე დამოუკიდებელი საბანკო სისტემა, საერთოდ დამოუკიდებლობის ფარდობითობის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ ანბანური ჭეშმარიტებაა და რაიმე დამატებით არგუმენტაციას არ საჭიროებს.

დამოუკიდებელ საბანკო სისტემაში არამც და არამც არ ვგულისხმობ მხოლოდ ადმინისტრაციულ დამოუკიდებლობას, რამდენადაც ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკების უკანასკნელმა გამოცდილებამ უკვე დაგვანახა, რომ ამ პირობებშიც შესაძლებელია სუვერენულ უფლებათა ხელყოფა საკრედიტო რესურსების დიდი ნაწილის ცენტრალიზაციის გზით. კერძოდ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა საკავშირო უმაღლესი საბჭოს სესიაზე დამტკიცებული ეკონომიკური სუვერენიტეტის კონცეფციის ფარგლებში მიიღეს დამოუკიდებელი საბანკო სისტემა, კერძოდ, ყველა სპეციალიზებული, კომერციული და კოოპერატიული ბანკი, გარდა სახელმწიფო ბანკისა, გადავიდა რესპუბლიკის დაქვემდებარებაში, მაგრამ სულ ახლახან საკავშირო მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც შემნახველი ბანკი თავისი ყველა დაწესებულებით და შესაბამისად, აკუმულირებული რესურსებით, წინა რიცხვით, ანუ 1989 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გადასცა დაქვემდებარებაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, რითაც ისევ გაუკეთა ცენტრალიზაცია ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე შექმნილი საკრედიტო რესურსების დაახლოებით ორ მესამედს. გამოვიდა, რომ ამ პირობებში ამ რესპუბლიკებს დარჩებოდათ ურესურსო საკრედიტო სისტემა და ისევ მოსკოვის ხელში შემყურენი გახდებოდნენ. სწორედ ამიტომაც ხელისუფლებამ სამივე ამ რესპუბლიკაში ბათილად სცნო საკავშირო მთავრობის ეს გადაწყვეტილება, რომელიც ერთი ხელით, და სხვათა შორის, უფრო ძლიერი და საკანონმდებლო ხელით გაცემულ უფლებას, მეორეთი უკან ართმევდა — თანაც ცუდად შენიღბული გზით.

ასე რომ, ლაპარაკია ცენტრიდან ადმინისტრაციულად დამოუკიდებელ საბანკო სისტემაზე, რომელიც თავად განაგებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საკრედიტო რესურსების მთლიან მასას.

მეორეს მხრივ, შესაძლებელია თუ არა დღევანდელ პირობებში სრულად გამიჯნოს თითოეული რესპუბლიკის საკრედიტო რესურსები? ისევ არამც და არამც. ერთიანი ფულადი სისტემის პირობებში ისევე, როგორც არ შეიძლება ერთი ან რამდენიმე რესპუბლიკის განუსაზღვრელი მცდელობით მტკიცე ფულადი მიმოქცევის უზრუნველყოფა, ასევე არ შეიძლება თითოეული რესპუბლიკის საკრედიტო რესურსების თუნდაც გარკვეული სიზუსტით დადგენა, რამეთუ უზარმაზარი თანხები მიმოქცევა დაუმთავრებელ ანგარიშსწორებაში, როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ფულით. მაშასადამე, აუცილებელია დამოუკიდებელი ფულადი მიმოქცევა და არა ცალსახად, როგორც ეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს აქვთ გათვალისწინებული კონცეფციით, როდესაც რესპუბლიკის შიგნით მიმოიქცევა საკუთარი ფულადი ერთეული და ისიც მხოლოდ ნაღდი ფულადი ბრუნვისათვის; უნაღდო ანგარიშსწორება კი, რომელიც მთელი საგადასახადო ბრუნვის უდიდეს ნაწილს შეადგენს, ხორციელდება არა საერთო საკავშირო ფულადი ერთეულით, არამედ მთლიანად რესპუბლიკის მთელს საგადასახადო ბრუნვას უნდა ემსახურებოდეს ერთი ეროვნული ფულადი ერთეული, რომელიც სრულად გამიჯნავს ფულად მიმოქცევასაც და საკრედიტო რესურსებსაც. რაც შეეხება ანგარიშსწორებას ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკებთან მოხდება გადასაყვანი მანეთებით, ან ისევე როგორც დღეს კავშირი ანხორციელებს მთელს დანარჩენ სამყაროსთან ვალუტების კურსის დადგენითა და საპარიტეტო საფუძველზე ურთიერთგაცვლით.

რაც შეეხება საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი საბანკო სისტემა თავისი ორგანიზაციული სტრუქტურებით, აქ ვფიქრობ უნდა დავანებოთ თავი 70-წლიან გამოცდილებას, როდესაც ახალი ამერიკის აღმოჩენის მცდელობაში უარი ვთქვით უკვე აპრობირებული და ცხოვრებისეულ გამოცდაგავლილი სისტემისაგან და უამრავი უაზრო ორგანიზაციული სტრუქტურა აღმოვაჩინოთ.

მთელს მსოფლიოში არსებობს გარკვეულწილად განსხვავებული, მაგრამ ძირითადში ერთსახოვანი ორიარუსიანი საბანკო სისტემა, რომლის სათავეშიც დგას ერთიანი ცენტრალური ბანკი, რომელიც, ძირითადად, განთავისუფლებული კლიენტების მომსახურების ოპერატიული ფუნქციებისაგან, განაგებს ქვეყნის ფულის მიმოქცევას და ეკონომიკური ნორმატივების დაწესებით ხელმძღვანელობს მეორე იარუსზე განლაგებულ საკრედიტო სისტემას. მეორე იარუსი კი სხვადასხვა მოცულობის, ხასიათისა და მიმართულების კომერციული თუ კოოპერატიული ბანკებია.

ჩვენს პირობებში რესპუბლიკის ერთიანი საბანკო სისტემის სათავეში უნდა იდგეს ეროვნული ბანკი. რომელიც დაექვემდებარება საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს და ანგარიშვალდებულიც მის წინაშე იქნება. რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დაამტკიცებს ეროვნული ბანკის წესდებასა და მის თავმჯდომარეს. აღნიშნული გარემოებანი ნაწილობრივ მაინც გაათავისუფლებს ეროვნულ ბანკს საშემსრულებლო ხელისუფლების ზედმეტი, ზოგჯერ კონიუნქტურული თუ პიროვნული ზემოქმედებისაგან, თუმცა იმისათვის, რომ ეროვნული ბანკი არ იქცეს სახალხო მეურნეობიდან მოწყვეტილ რაღაც ზეორგანოდ მისი თავმჯდომარე უნდა შედიოდეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

ძირითადად განთავისუფლებული იქნება რა კლიენტურის უშუალო მომსახურეობიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციები უნდა იყოს: ფულის მიმოქცევის, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორების, სავალუტო ურთიერთობათა სფეროში რესპუბლიკის ერთიანი პოლიტიკის გატარება რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებული გეგმური მართვის, მყარი ფულადი მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, ქართული ფულის გასაცვლელი კურსის დადგენა საბჭოთა მანეთთან და სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან, კომერციული ბანკების კოორდინაცია და ზედამხედველობა საბანკო კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.

მეორე იარუსზე განლაგდებიან სხვადასხვა სახის კომერციული ბანკები, რომლებიც სახელშეკრულებო საფუძველზე განახორციელებენ საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და მოსახლეობის საკრედიტო-საანგარიშსწორებო და სხვა საბანკო მომსახურეობას.

ამასთან, საბანკო მომსახურეობაზე რესპუბლიკური და რეგიონალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დამფუძნებელი აქტითა და მათი ფინანსური რესურსებით შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო კომერციული ბანკები.

რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში შეიძლება შეიქმნეს აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერატივების საპაიო შენატანებით შექმნილი კომერციული ბანკები — ე. წ. კომერციული ბანკები საპაიო შენატანებზე.

სხვათაშორის, ა. წლის 1 იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკაში უფრო ზუსტად თბილისში, უკვე ფუნქციონირებდა 4 კომერციული და 1 კოოპერატიული ბანკი, რომელთა ბალანსების საერთო ჯამი 12 მლნ. მანეთს აღემატება, მათ შორის საწესდებო კაპიტალი 8,5 მლნ. მანეთს, ხოლო მათ მიერ სახალხო მეურნეობაში დაბანდებული სესხების საერთო თანხა 5 მლნ. მანეთს აღწევს. რეგისტრაციის სტადიაშია კიდევ რამდენიმე კომერციული და კოოპერატიული ბანკი, მათ შორის რუსთაველის საზოგადოების ბანკი, რომელთაც კომერციულ ბანკებთან ერთად ბევრი ეროვნული საქმის წამოწყება აქვთ მიზნად.

რესპუბლიკის საბანკო სისტემა თავისუფალი უნდა იყოს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მარწუხებისაგან, რაც უზრუნველყოფილი იქნება ერთის მხრივ ეროვნული ბანკის რესპუბლიკის პარლამენტისადმი დაქვემდებარებით და მეორეს მხრივ იმ გარემოებით, რომ კომერციული ბანკები არ დაექვემდებარებიან ადმინისტრაციულად ეროვნულ ბანკს, ისინი ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებული ნორმატივების ფარგლებში უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმული სათქმელად და გასააზრებლადაც კი საკმაოდ ძნელია, მით უფრო რთული იქნება მისი ცხოვრებაში განხორციელება. რთული, მაგრამ იმდენად აუცილებელი, რომ თვითეული კომპეტენტური საბანკო, თუ საერთოდ ეკონომიკური სამსახურების მუშაკის ძალისხმევა, ცოდნა და გამოცდილება დღენიადაგ უნდა იხარჯებოდეს ამ მეტად საერთო და საშური საქმის ჯერ სრულყოფილად თეორიულად დამუშავებაზე, შემდგომ კი მის პრაქტიკულად განხორციელებაზე. ამასთან აქ მარტო ჩვენი გამოცდილება და ცოდნა არ იქნება საკმარისი, არ გვეყოფა არც მოსკოველი სპეციალისტების მიერ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი და ჩვენთვის ნაწილობრივ გაზიარებული გამოცდილება. საჭირო იქნება რესპუბლიკის მთავრობის აქტიური მხარდაჭერა, რათა გაგრძელდეს და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში საბანკო სპეციალისტების მომზადების დაწყებული სასიკეთო საქმე, რომელსაც ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაუყარა საფუძველი გასულ წელს.

**ნოდარ ჯავახიშვილი,**

**სსრკ სახბანკის საქრესპბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე**

# რიგითი „ჯარისკაცის" რეპლიკა

**ქვირფასო** მკითხველო, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ მეტად საინტერესო სიტუაციაზე, რომლის მოწმენი შეიძლება ახლო მომავალში გავხდეთ. საქმე შემდეგშია:

სკკპ-ს რეგიონული ორგანო საქართველოს კპ, როგორც მისი ყრილობის მასალებიდან და შემდეგაც დელეგატების მსჯელობიდან ირკვევა, დარჩება სკკპ-ს შემადგენელ ნაწილად. დელეგატებს სურთ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მაგრამ სკკპ-დან გამოყოფა არ შეიძლება, რადგან არაქართველები (და ქართველების ნაწილიც) გადავლენ სხვადასხვა ქვეყნის კომპარტიებში: რუსები — რუსეთის კომპარტიაში, სომხები — სომხეთის კპ-ში, ბერძნები, ალბათ საბერძნეთის კპ-ში, აფხაზები, ოსები და ქართველების დიდი ნაწილი — სკკპ-ში და ა. შ. ე. ი. თუ სხვა რესპუბლიკებში კომუნისტები ქმნიან თავიანთ დამოუკიდებელ კომპარტიებს და უმნიშვნელო ნაწილი კი მოსკოვის პლატფორმაზე რჩება, საქართველოში ყველანი, დაწყებული დიდიდან დამთავრებული პატარით, მოსკოვის პლატფორმაზე დარჩება.

ალბათ, ამ პრინციპით განათლების სამინისტრო გვეტყვის, რომ მოსკოვის დაქვემდებარებიდან გამოყოფა არ შეიძლება, რადგან სომხური სკოლები წავლენ სომხეთში, რუსული სკოლები — რუსეთში, ბერძნები — საბერძნეთის სკოლებში და ა. შ.

ფინანსთა მინისტრი გვეუბნება, რომ საქართველოს ბიუჯეტი უკიდურეს მდგომარეობაშია. იმას კი არ გვეუბნება, რომ საქართველოს ბიუჯეტი დღეს როგორც ასეთი ფიქციაა. არც სხვა მინისტრები ცვაიმედებენ და გვეუბნებიან, რომ მოსკოვის დაქვემდებარებიდან გამოსვლა შიმშილობას გამოიწვევს. მოკლედ, ჩვენს მთავრობას დამოუკიდებლად, მოსკოვის გარეშე, ნებისმიერი ელემენტარული საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია (ალბათ სკამების დაკარგვის შიშით).

გადავხედოთ რა ხდება საბჭოთა იმპერიაში. ბალტიის ქვეყნებმა ფაქტიურად მოიპოვეს დამოუკიდებლობა და ელოდებიან „ჰელსინკის-2"-ის შეხვედრას, რათა ეს იურიდიულად გაფორმდეს. რუსეთი ღებულობს დეკლარაციას სუვერენიტეტის შესახებ და გორბაჩოვსა და მის მეგობრებს დედაქალაქის მოძებნას ურჩევს, რადგან მოსკოვი მათი დედაქალაქია. უკრაინა სუვერენიტეტისაკენ მიისწრაფვის. მოლდავეთი დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს ლიტვასთან და ცნობს მას, ალბათ მალე დამოუკიდებლობასაც გამოაცხადებს. შუა აზიის რესპუბლიკებში თავისთვის ფუსფუსებენ, უზბეკეთმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.

საქართველოს მთავრობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერჯერობით მოსახლეობის თვალის ახვევით არის გართული და ეწევა მის შეშინებას შიმშილობით და სხვა პრობლემებით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გორბაჩოვსა და მის მეგობრებს, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოები თბილისს შესთავაზებენ დედაქალაქად (თურქმენეთმა თუ არ დაგვასწრო), 480 ჰექტარი დასასვენებელი რეზიდენცია მიუსერაში უკვე გამოყოფილი ყოფილა. (გროვდება ხელმოწერები და ქართველები ელცინს ეხვეწებიან არ მისცე მიუსერა გორბაჩოვსო, რადგან ჩვენს მთავრობას და ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით გამოდიან, ამისათვის არა სცალიათ).. თბილისის საბჭოთა იმპერიის დედაქალაქად გამოცხადებას დიდი სიხარულით შეხვდება ორგანიზაცია „სტალინი"-ც, შეიძლება მან თავისი მხრიდან გორი წამოაყენოს დედაქალაქად და ასე განამტკიცებენ დიდი საბჭოთა იმპერიის ერთიანობას.

**ვაჟა ლალიგაშვილი**

**ქ. თბილისი.**

# ღია წერილი

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს
## საქართველოს სსრ მთავრობას
## საქართველოს სსრ ცენტრალურ კომიტეტს

**როგორც** მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების სამსახური დღეს დიდ მატერიალურ ხარჯს მოითხოვს. ამ ხარჯის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოდის სტიქიით დაზარალებული და სხვა გაჭირვებული ქართველი მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის პროგრამებზე. ეს პროგრამები ვერ სრულდება ფინანსთა უქონლობის გამო, ისევე როგორც სახლების მშენებლობის პროგრამა ვერ შესრულდა სამშენებლო მასალების უქონლობის გამო, (ძირითადად, რუსეთის მიერ საქართველოსთვის ფაქტობრივად გამოცხადებული ბლოკადის, საქართველოში ყველაზე საჭირო ტვირთთა შემოტანის ფაქტობრივი შეწყვეტის გამო). ამავე დროს საქართველო თავისი ხარჯით განაგრძობს მშენებლობას სომხეთის სტიქიით დაზარალებულ რაიონებში. დღემდე ზემოხსენებული პროგრამისათვის დახარჯულია სულ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. ამ თანხაში დაახლოებით ნახევარი შეადგინა ხალხის მიერ შეგროვილმა და ორგანიზაციების მიერ გაღებულმა ფულმა (ციფრებს შეგნებულად არ ვაზუსტებ, რათა თავი დავიზღვიო შესაძლო შეცდომისაგან). პოგრამის შესრულებას დღესდღეობით სჭირდება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი.

შეგახსენებთ, რომ:

ა). დღეს საქართველოს ინტერესებისათვის საჭირო ზემოხსენებული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა არა არის რა თუ არა კომუნისტური ბიუროკრატიული აპარატის მიერ წლების მანძილზე ნაწილ-ნაწილ გაყიდული საქართველოს კვლავ გამოსყიდვის ხარჯი.

ბ). საქართველოს წმინდა ადმინისტრაციული ძარცვის მასშტაბები (გარდა ზოგადი კოლონიური ძარცვისა) წელიწადში მილიარდობით მანეთს შეადგენს.

თქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ საქართველოს მთავრობის დაუყოვნებლივ ანგარიშგებას საზოგადოებრიობის წინაშე იმის თაობაზე, თუ:

ა). როგორ ნაწილდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შემოსავლები;

ბ). როგორ და ვის მიერ ხდება საქართველოს ტერიტორიის და მისი ბუნებრივი რესურსების ფასიანი ან უსასყიდლო გამოყენება.

ცხადია, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მოქმედება.

დაე, საქართველოს სიმდიდრე მისი ერთადერთი კანონიერი მფლობელის — თვით ერის ხელში იყოს და საქართველოს სამსახურს მოჰხმარდეს!

**ნ. ნათაძე,**

**საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე**

## პოლემიკა

# შეიცან თავი შენი

(დასასრული)

ვიხმაროთ, ოღონდ, არა ლექსიკური მარაგის ნაკლებობის გამო) თქვენ გვარიანად გადაგიცდათ ფეხი. როგორ გეგონათ, განა ასეთი ძნელი იყო დავით პაკელიანის საქმეში ჩახედვა?! უნდა მოგახსენოთ, რომ საქმეში კარგად ჩავიხედეთ და მწერალ აკაკი გელოვანის შეთხზულ უნიჭო ზღაპრის („წლების მანძილზე ჩაგრავდაო თურმე დაზარალებული ნიკაშვილი (მასთან მისი ძმაბიჭებიც). გამოძალვა, მუქარა, დევნა, ლანძღვა, დამცირება ჩვეულებრივი ამბავი ყოფილაო, ამის შესახებ კი პაკელიანის დედ-მამამაც არაფერი იცოდნენო“ საპირისპიროდ გამოძიებისათვის დავით პაკელიანის მიერ მიცემულ ჩვენებაში ასეთი რამ ამოვიკითხეთ.

### სასამართლო სამსჯავრო სხდომის ოქმი

განსასჯელი პაკელიანი დავით ნოდარის ძის ჩვენება გვ. 30-31 სასამართლოს მოახსენებს: „მე და ნიკაშვილი, ერთად ვსწავლობდით ქ. თბილისის 47-ე სკოლაში 8 კლასამდე. შემდგომ მე გადავედი პროფტექნიკურ სასწავლებელში, რის შემდეგაც იშვიათად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს“.

ასე რომ, ბატონო აკაკი, თქვენი პირველი ბრალდება ბათილადაა ცნობილი და სიცრუე ბუმერანგივით დაგიბრუნდათ უკან.

გია თასოევის „მეორე სიცრუის“ შესახებ ზემოთ მოგახსენეთ, ხოლო რაც შეეხება თქვენს მტკიცებას: „ჩემი ნაწერებით სიკეთის მეტი არავისთვის არაფერი მისწავლებიაო“. ამ სიტყვების „ჭეშმარიტებაში“ მკითხველს ცოტა ქვემოთ დავარწმუნებთ, როცა თქვენს ნაწერებს გავაცნობთ.

ბატონო აკაკი, სანამ გია თასოევის „მესამე სიცრუეზე“ გადავიდოდეთ, თქვენზე რომ აღნიშნავენ, თითქოს: „აკაკი გელოვანს განცხადებით მიემართოს იუსტიციის მინისტრისათვის და დაეწეროს: განაჩენი მკაცრიაო!“, მანამ მკითხველს ერთი განცხადება მინდა გავაცნო, რომელიც იუსტიციის სამინისტროში ამოვიწერე.

**საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს**
**ვ. შარაშენიძეს**
**მოქ. აკაკი გელოვანის**

**განცხადება**

კალინინის სახალხო სასამართლოში სოსო ხურციძე არჩევს არასრულწლოვან დათო პაკელიანის საქმეს, რომელმაც თავისი ამხანაგი უნებლიედ დაჭრა სადღაც ნაპოვნი წაჭრილი თოფის საფანტით. დაზიანება მძიმეა (მხედველობის მოშლა), მაგრამ დანაშაული ჩადენილია უნებლიეთ, უყურადღებობით. ბუნებით ალალი და ყოვლად უბოროტო ბიჭის, მოწაფის მიერ, რომელსაც თოფი არასოდეს უსვრია. სასჯელის ღირსია და წყალობას არ ვითხოვთ.

მაგრამ ადვოკატი ელგუჯა კერატიშვილიც და პაკელიანებიც ითხოვენ მუხლის შეცვლას (105-115), რადგან აშკარად გაუფრთხილებლობის მუხლი უდგება. დაზარალებულნი კი ითხოვენ პაკელიანის დახვრეტას ან 12 წელს.

მაგრამ საქმე სხვა რამეა. მოსამართლე ხურციძეს საქმე მიჰყავს აშკარად აგრესიული, ყველას და ყველაფრის უგულებელყოფის ნიშნით, მისი მდივანი ქალი კი ყოვლად ცინიკურად იქცევა, დამამცირებლად მიმართავს პაკელიანის მშობლებს, ნათესავებს. დაზარალებულის მშობლები და ნათესავები დარბაზშიც და გარეთაც ფანატიკური სისასტიკით იქცევიან, ილანძღებიან, იმუქრებიან, საჯაროდ გაჰყვირიან: „მშობლებს თვალებს დავთხრით, გადავბუგავთ“ და ა. შ. არც ხურციძე და არც მდივანი მათს ექსცესებს და ველურ გამოხდომებს წინააღმდეგობას არ უწევენ, აქეზებენ კიდეც, ვექილის მაგინებელ ნათესავებს კი პროცესზე ეუბნება: „რა გენაღვლებათ, მე მაგას არც ვუსმენო“.

12 მარტს საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელი ეს პროვინციული ბანდა თავს დაესხა პაკელიანის ნათესავებს, ჩემი ქალიშვილი ჟანა გელოვანი ვიღაც უზირმა დედაკაცმა სცემა, და როცა გელოვანი ტირილით შევარდა მოსამართლესთან, იმანაც ხულიგნური გინებით გამოაგდო ეს სუსტი ლაბორანტი ქალი, რომელიც მაგათსავით ველური კი არა, უნივერსალური ცოდნით აღჭურვილია.

ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ აქვს. ვითხოვ ასეთი მოსამართლისა და მისი ხულიგანი მდივნის მკაცრად დასჯას, არა და მე აღარაფერი მწამს.

ხურციძის მდივანი ქალი აღმოჩნდა დაზარალებულის „ძმაბიჭის“ დედა, ამითაც აიხსნება მისი ცინიზმი და აგრესიული თავდასხმები ჩემს დაზე პროცესზეც და შემდეგაც, გარეთ. მანვე წააქეზა ის სოფლელი ვულგარული დედაკაცი, რომელმაც ჩემი ქალიშვილის საცემად წაიწია, თუმცა გელოვანს მისი ეს ხულიგნური გამოხდომა არაფრით არ დაუმსახურებია.

დათო პაკელიანი ავადმყოფი, მენინგიტიანი ბიჭია, კანონით მისი გასამართლებაც არ შეიძლებოდა ამჟამად, მაგრამ ხურციძე ექიმების დასკვნას საერთოდ არ ხდის ყურადღების ღირსად, ვექილს კი „არც უსმენს“.

მე ვანზოგადებ ხურციძის, მისი მდივნის ულირს, არასამართლებრივ მოქმედებას, მათი ლინჩის კანონს, აცილებას ვძლევ ამ მოსამართლეს და გთხოვთ მათი ხულიგნური, თავხედური მოქმედების შესახებ დაავალოთ ავტორიტეტულ პირებს, რათა მართლმსაჯულების ელემენტარული წესების აბუჩად აგდებისათვის დაისაჯონ ეს პირები.

მოსამართლის და დაზარალებულის ნათესავთა ამ ნამდვილ ფანატიკურ ბრბოს მოქმედებამ ისეთ შოკში ჩააგდო პაკელიანი, რომ უთქვამს: სჯობს გადავიკარგო და გადავიჩეხო სადმე, ვიდრე მაგათი ლანძღვა და მუქარა ვისმინოო. დე, ის დასაჯოს სამართალმა და არა დაინტერესებულმა პირებმა. ასეთია ჩემი პრინციპული თხოვნა.

**„აკაკი გელოვანი“.**

იცით, მკითხველო, ვინაა ამ განცხადების ავტორი? ეხლავე გიპასუხებთ. ამ წერილის ავტორია ის კაცი, ვისაც სამი წლის უნახავი და ძალიან „ენატრება“, მაგრამ „დრო და საბაბი“ ვერ უპოვნია დასთან მისასვლელად.

სხვაზე არანაკლებად ვიცით, რომ დღეს ერთმანეთის ჯიჯგნის მაგიერ შეკავშირება გვჭირდება, მაგრამ „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქვა“. სანამ ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, მანამ ვერაფრით ამოვძირკვავთ იმ საშინელ სენს, კაენის ცოდვა რომ ჰქვია. ბატონ აკაკის ნუგეშად იმასაც დავძენთ, რომ ბევრ ცნობილ პიროვნებას იხილავს მომავალში თავის გვერდით, მკვლელებსა და ნაძირალებს რომ უწევენ მფარველობას თავისი ავტორიტეტით.

ჩემი ოპონენტი ბრიყვს კი მიწოდებს, მაგრამ, საკითხავია, რამდენად ბრიყვი ვგონივართ ან მე ან მკითხველი, როცა ურცხვად აცხადებს: „რომ ღრმად დარწმუნებული ვარ, მკვლელობა და დასახიჩრება არ ჰქონია განზრახული, მხოლოდ მოიერიშისაგან თავდასაცავად და შესაშინებლად უსვრიაო...“ ბატონ აკაკის დაბეჯითებული მტკიცების საპირისპიროდ ერთს ვიტყვით, რომ მოპირდაპირე (თანაც უიარაღო) მხარის შესაშინებლად ჰაერში ისვრიან და არა პირდაპირ სახეში!

ბატონო აკაკი, უნდა მოგახსენოთ, რომ იმედს ამჯერადაც გაგიცრუებთ, რადგან თქვენს ქადილს: „გამოვიდეს ვინმე იურისტი და თქვას, რომ მე განაჩენის შერბილება ვითხოვეო“. დიდი დღე არ უწერია. არა გჯერათ? ახლავე დაგაპირისპირებთ თქვენთვის კარგად ცნობილ იურისტს თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათით.

**საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. ვ. შარაშენიძეს**
**ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის ი. ხურციძის**

**ახსნა-განმარტება**

მოგახსენებთ, რომ ამა წლის 7-13 მარტს ჩემი თავმჯდომარეობით იხილებოდა სისხლის სამართლის საქმე დავით პაკელიანის ბრალდების გამო დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-105 მუხლით და 238 მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლომ განსასჯელი პაკელიანი ცნო დამნაშავედ ზემოაღნიშნული მუხლებით და სასჯელის ზომად ერთობლიობაში შეუფარდა 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, გასახლების გარეშე, სასჯელის არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოხდით. განაჩენში ასევე მითითებული იქნა, რომ პაკელიანი პატიმრობაში აეყვანათ სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, მაგრამ განაჩენის გამოცხადებისათვის ის დარბაზში არ აღმოჩნდა, მიიმალა და დღემდე იმალება.

მოგახსენებთ, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა დაძაბულ ატმოსფეროში, რადგანაც დანაშაულით მძიმე შედეგი დადგინდა. დაზარალებულმა ნიკაშვილმა ორივე თვალში დაკარგა მხედველობა და უაღრესად დაუმახინჯდა სახე. ამიტომ დაზარალებულის და განსასჯელის ახლობელ-ნათესავების მხრივ ადგილი ჰქონდა გარკვეულ სიტყვიერ შეკამათებას, თუმცა კი აღნიშნული არ გადაზრდილა რაიმე აშკარა უთანხმოებაში. **უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად ამგვარი მძიმე შედეგისა, თვით პაკელიანის მხარე იქცეოდა მეტად გამომწვევად**, სწორედ ამიტომ სასამართლოს მიერ მათ ისევე, როგორც დაზარალებულის მხარეს მიეცათ სიტყვიერი შენიშვნები, წესრიგის დაცვის კუთხით.

**რაც შეეხება აკაკი გელოვანის მიერ იუსტიციის მინისტრის სახელზე გაგზავნილ განცხადებას, აშკარა სიყალბე და ცილისწამებაა.**

საქმე განხილულ იქნა კანონის შესაბამისად, საპროცესო ნორმების დაცვით. არავითარი შეურაცხყოფა, ან რაიმე მკაცრი ტონით ნათქვამი არცერთი მხარის მიმართ არ ყოფილა წარმოთქმული. მას შემდეგ რაც სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში, პაკელიანის მხარის რამოდენიმე ქალი ცდილობდა სათათბირო ოთახში შესვლას და, რა თქმა უნდა, მათ ამის უფლება არ მისცეს.

**მიმაჩნია, რომ აკაკი გელოვანის განცხადება შეიცავს როგორც პირადად ჩემი, ასევე სასამართლოს მთელი შემადგენლობის და საერთოდ მართლმსაჯულების შეურაცხმყოფელ, ცილისმწამებლურ ფრაზებს, რაც არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირებისა და პასუხის გარეშე.**

**სახალხო მოსამართლე: ი. ხურციძე.**

ესეც თასოევის შეთხზულია, ბატონო აკაკი?!

ჩვენ რომ ვწერდით, მისი წიგნები მკითხველის სიმპათიით სარგებლობსო, ბატონო აკაკი, ჩვენ ვგულისხმობდით თქვენს მიერ შედგენილ „მარად ცოცხალ ხელოვნებას“ და „მითოლოგიურ ლექსიკონს“ (მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებული ეს ორივე წიგნი თავის დროზე მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს), რადგან თქვენ თქვენი შედგენილი სხვა წიგნებიც გაგვახსენეთ, იძულებული ვართ (ჩვენის მხრივ) „ერთობ მოუცლელ კაცს“ თქვენივე ნათარგმნი წიგნებიც შეგახსენოთ. მაგალითად: ლეო ტაქსილის „სახალისო ბიბლია“ და ალექსანდრე პარადისის „ბალთაზარ კოსა“. ვიცი, ამ წიგნების ხსენებისას ტანში უსიამოვნოდ გაგცრით, მაგრამ რა ვქნა, თქვენ თვითონ აღნიშნეთ, რომ გია თასოევს აკაკი გელოვანის წიგნებში ბევრი საგულისხმო რამის წაკითხვა შეეძლოო, ჰოდა, ბატონო აკაკი, მეც ხათრი აღარ გაგიტეხეთ და ამჯერად კვლავ გადავიკითხე თქვენი წიგნები, განსაკუთრებით თქვენი ნათარგმნი წიგნები „მომეწონა“ და ის აზრი გამოვიტანე, რომ ლეო ტაქსილზე არანაკლები მკრეხელი და ანტიქრისტეა ის, ვინაც უსაზიზღრესი „სახალისო ბიბლია“ თარგმნა და ქრისტეს ძვლების მკვნეტელს რომ შეშურდებოდა, თარგმანს ისეთი შესავალი წერილი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო.

ბატონო აკაკი, თქვენი გაუტეხლობის ამბავი რომ ვიცი, თავის მართლებას მოჰყვებით, იმ პირქუშ დროში ხალხისათვის როგორმე ბიბლიის შინაარსი რომ მომეწოდებინა, სხვა შეპარული ხერხი (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ბევრი ცდილობს ამ ხერხით ძველი ცოდვების ჩამორეცხვას) ვერ მოვიგონეო. უნდა მოგახსენოთ, „ერთობ მოუცლელო“, ბატონო აკაკი, რომ ამ მკრეხელური წიგნების თარგმნას ისევ დუმილი გერჩიათ. ესეც არ იყოს, თქვენგან ვერ გამიგია, რაშია საქმე? ჯერ იყო და ქრისტეს ებრძოდით, ახლა დრონი იცვალნენ და ქრისტეს უდარებთ თავს, ცინიზმს აღარ უნდა ჰქონდეს თქვენი მხრიდან საზღვარი?! ნუთუ დაგავიწყდათ ბიბლიიდან ის ეპიზოდი, როგორ დასაჯა ქრისტემ თავისი მოწაფეები? თქვენ რა მოიმოქმედეთ „ღმერთებთან ნაომარო“, ბატონო აკაკი გელოვანო?

ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენი მრისხანება უკვე საზღვარს სცილდება, მაგრამ, თქვენდა სამწუხაროდ, ამჯერადაც არაფერი მეშლება, თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ „დაუკრეფავში კიდევ ერთხელ გადავალ“ და იმ ძაღლყურძენას („სახალისო ბიბლიას“ და „ბალთაზარ კოსას“) არამარტო დაგიკრეფთ, არამედ სულ ერთიანად ამოგიძირკვავთ და წინ დაგიყრით, რათა ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდეთ, რა ბოროტების ნაყოფი მოიწიეთ ზემოთხსენებული წიგნების თარგმნით.

ცოდვილი განა მარტო იმისათვის ხართ, რომ ასეთი მკრეხელური წიგნები თარგმნეთ, ორმაგად მძიმეა თქვენი ცოდვა იმ შესავალი წერილების, კომენტარების გამო, თქვენ რომ ზემოთხსენებულ ორ წიგნს დაურთეთ. უნდა ითქვას, რომ მეცნიერულ ათეიზმში თქვენს დიდ მასწავლებლებს (მკრეხელებს) ლენინს, სტალინს, ბერიას არ ჩამოუვარდებით, თუმცა, როგორც ირკვევა, ეს უკანასკნელი (ბერია) მაინც მორწმუნე ყოფილა, რადგან საჯაროობამ და დემოკრატიზაციამ მისი ნათლულებიც წარმოაჩინა.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობაში 1973 წელს დასტამბულ ლეო ტაქსილის წიგნის „სახალისო ბიბლიის“ შესავალ წერილში („სახალისო ბიბლია“ თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო აკაკი გელოვანმა) მთარგმნელის ასეთი დარიგებაა ათეისტებისადმი: „ღვთისმეტყველნი ისევ ღვთისმეტყველთა პოზიციებიდან უნდა დაამარცხო, და ბიბლია რომ გააბათილო, ამისათვის ბიბლია უნდა იცოდე...“

ბატონო აკაკი, კაცი, რომელიც დღეს საკუთარ თავს ქრისტეს უდარებს, ადვილი წარმოსადგენია, გუშინ რა მგზნებარე ათეისტიც იქნებოდა. თუმცა, პატივცემულო მკითხველო, სჯობია თანამიმდევრულად მივყვეთ „სახალისო ბიბლიის“ მთარგმნელისეულ შესავალ წერილს და ერთიანად ამოვკრიფოთ ის „მარგალიტები“, რომლებიც მან ათეისტისათვის ჩვეული სიუხვით მიმოაბნია.

„ბიბლიური თქმულებანი“ ანტირელიგიური აგიტაციის მძლავრი იარაღია. ყველაზე სუსტი აგიტაცია ისაა, რაც ეკლესიის დაკეტვითა და ზერელე ქადაგებით თავდება. საჭიროა რელიგიური ცრურწმენების ამოძირკვა თვით მორწმუნეთა გულში. ამისათვის საჭიროა რაიმე გწამდეს თვითონაც, იმაზე დიდი და ძლიერი, რასაც უარყოფ. ესაა მეცნიერების რწმენა, საკუთარი ძალების რწმენა; უნდა იცოდე ისიც, რასაც უარყოფ...“

იმედია, პატივცემულო მკითხველო, არ შევმცდარვარ, როცა აღვნიშნე, რომ ბატონი აკაკი გელოვანი საკმაოდ გათვითცნობიერებული ათეისტია და მასთან საკმაოდ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა ათეიზმის გავლენის ქვეშ არ მოგვაქციოს კვლავ.

„ბიბლიის მთელი სარწმუნოებრივი სული რომ ყალბი, მცდარი და მავნეა, ბიბლიამ რომ ისტორიიდან დიდი [illegible] წინააღმდეგობა, ამაზე დავა დღეს უბრალო გულუბრყვილობად მიგვაჩნია, ჩვენ მხოლოდ მისი ლიტერატურული სისრულე და სიღრმე გვაინტერესებს“...

ბატონო აკაკი, იცით, რაზე მწყდება გული? ბიძია გრიგოლს რომ ტყუილად ჩაუარა შრომამ და ბიბლიის გმირების მაგვარმა მისმა მონდომებამ (მეხუმრები შენ, ქაღალდი არ გქონდეს და მაინც ისეთი დიდი მონდომება გაგაჩნდეს, რომ ყრმას კევრის ფიცარზე ნახშირით აწერინებდე ბიბლიიდან ეპიზოდებს?!) არავითარი სასიკეთო შედეგი არ გამოიღო და მისი შეგონებანი დარჩა, როგორც ხმა მღაღადებლისა... უფრო მეტი, მისი (ბიძია გრიგოლის) შეგირდი მკრეხელი და ანტიქრისტე გაიზარდა.

„ტაქსილის მებრძოლ სტილს ის საფუძველი აქვს, რომ ქრისტიანული რელიგია, და საერთოდ რელიგია ჯერ კიდევ მებრძოლი, ძლიერი, საშიში ძალაა. ოდესმე, როცა ის გადაიქცევა ისტორიის კუთვნილებად, შეიძლება მხოლოდ მოგვითხრონ ბიბლიური ლეგენდებიც, როგორც ბერძენთა მითები, დღეს კი საჭიროა ბრძოლა, მტკიცება, დარწმუნება, სიცილი...

პატივცემულო მკითხველო, ამით გავასრულოთ სატანასთან წილნაყარი ლეო ტაქსილის „სახალისო ბიბლიის“ მთარგმნელის, აკაკი გელოვანის „ლიტერატურული“ ნაწყვეტები „სახალისო ბიბლიაზე“ დართული შესავალი წერილიდან და გადავინაცვლოთ არანაკლებ მკრეხელი მწერლის ალექსანდრე პარადისის წიგნზე „ბალთაზარ კოსაზე“, რომელიც თარგმნა, შესავალი წერილი და საძიებელი დაურთო აკაკი გელოვანმა. საგაზეთო ფართობის სიმცირის გამო, მე ამჯერად თავს შევიკავებ იმ „მარგალიტებს“ კომენტარებზე, რასაც ამოვატივტივებთ. ამ „საპატიო“ მისიას მას მივანდობ, ვისაც აკაკი გელოვანის დაცვის სურვილი გაუჩნდება.

„პაპობა — ტირანიის სიმბოლოა. ქვეყნად არ ყოფილა უფრო დესპოტური, უფრო საზარელი, უსამძღვრო და უსასრულო უსამართლობის, ძალმომრეობის, ადამიანის ნიჭისა და ძალის აბუჩად აგდების ისეთი ინსტიტუტი, როგორიც იყო პაპობა, ინკვიზიცია. კათოლიკური წმინდა სამსჯავრო-სათნოების ნიღბით და სატანის მახეთით სამასთავიანი ურჩხული მსხვერპლად რომ ითხოვდა კოცონზე შემწვარ ადამიანთა, ხორცსა და სულს...

„პაპობის ისტორია ნაწილია იმ ხეპრე მტარვალთა ისტორიისა, საერთოდ ამიტომ ეს თემა მარად ძველი და მარად ახალი...“

„ქრისტიანობაც, მზაკვრულ ანგარებასა და ძალადობაზე აგებული მრავალი სხვა რწმენისა თუ იდეის მსგავსად, პირველ ხანებში თითქოს ამართლებს სიწმინდის, პატიოსნების, სამართლიანობის მჟღერალა ფრაზებს, მაგრამ გადის დრო და იქცევა პროგრესის მუხრუჭად, ჭუჭყის მიზეზად. პაპი ნიანგის ცრემლს აფრქვევს და ისე „უფრთხილდება“ ხალხს, როგორც უმწეო მსხვერპლს — მახრჩობელა, რომელიც ზომიერად უჭერს სალტეებს, რათა ძვლები არ გადაუმტვრიოს და გადაყლაპვის დროს ზიანი არ მოუვიდეს...

„სამაცილოა ამ „ანტიპაპების“ ისტორია. ეს ის პაპებია, რომლებიც თითქოს უკანონოდ აირჩიეს ან არასწორად დაიკავეს ტახტი. მაგრამ ასეთი ვერსია ორივე ფეხით კოჭლობს თვით ეკლესიის მტკიცებით, პაპის ყოველი კანდიდატურა უზენაესის მიერ არის წინასწარ ნაკარნახევი, და ნუთუ უზენაესი ამდენჯერ შეცდა?..

პატივცემულო მკითხველო, უკვე თავი მოგაბეზრეთ, ალბათ, ბატონი აკაკის „მწერლური ნააზრევის“ გამომზეურებით, მაგრამ ახლა არაფრით არ შემიძლია, მისი ციტირებული ბიბლიური შეგონება არ გავიმეორო, რითაც მან ჩემდამი დაწერილი წერილი დაამთავრა: „ვაი მწერალთა უკეთურებისათა, რამეთუ უკეთურებასა სწერენ!“

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, განუკურნელო ათეისტო, ბატონო აკაკი გელოვანო!

პატივისცემით,
**გია თასოევი.**


ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯავახეთის ქ. №17. ტელ.: 222-081.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში
რედაქტორი ბოგი დავითური